Global Compact Network Georgia

შვედეთი Sverige

კორპორაციული პასუხისმგებლობის ჯილდო 2021

ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

EU4Environment
Armenia, Azerbaijan, Belarus, Georgia, Republic of Moldova, Ukraine

ხარისხიანი განათლება

„ბიზნესი მდგრადი
განვითარებისთვის“

კოდინგის სკოლა ქალებისთვის

BTU ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

კოდინგის სკოლა ქალებისთვის

გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპების განხორციელების ფარგლებში, ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში 2019 წელს ქალთა კოდინგის სკოლა დაარსდა. კოდინგის სკოლის მთავარი მიზანი ტექნოლოგიების მიმართულებით ქალთა გადამზადება და დასაქმებაა. სკოლა მიზნად ისახავს: ქვეყნის მასშტაბით ცნობიერების ამაღლებას ტექნოლოგიების სფეროში კარიერის განვითარების შესახებ, მონაწილეთა გადამზადებას და მათი უნარების განვითარებას, ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებში გოგონების დასაქმებას და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას.

კოდინგის სკოლის პროექტის ფარგლებში გადამზადდა 250-ზე მეტი გოგონა აიტის (IT) მიმართულებით (front-end, back-end, ui/ux, data analytics, AI) და 2500-ზე ქალი გადამზადდა ტექნოლოგიური მეწარმეობის მიმართულებით.

აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანად უწყობს ხელს ტექნოლოგიების სფეროში მეტი ქალის დასაქმებას, მათი როლისა და ზოგადად, სფეროს გაძლიერებას. კოდინგის სკოლის მიმართ ინტერესი მუდმივად მზარდია.

ბორჯომი

ბორჯომი საქართველო

ბორჯომის ტრენინგ-ცენტრი

კომპანია „ბორჯომისათვის“ განათლების ხელშეწყობა მნიშვნელოვანი მიმართულებაა. 2012 წელს ბორჯომში დაფუძნდა ტრენინგ-ცენტრი. ცენტრის მთავარი მიზანია, ბორჯომსა და მის შემოგარენში მცხოვრები მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ხარისხიანი განათლება.სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს საშუალება აქვთ, გაიღრმავონ ცოდნა შემდეგი მიმართულებებით – უცხო ენები, კომპიუტერული პროგრამები, მათემატიკა და უნარები. გარდა ამისა, ცენტრში არსებობს ხელსაქმის, ხატვის, დრამის, ახალგაზრდა ჟურნალისტების წრეები. მოსწავლეების მიღება წელიწადში ორჯერ ხდება.

ბორჯომის საგანმანათლებლო ცენტრში 4 000-ზე მეტმა მოსწავლემ და აბიტურიენტმა მიიღო განათლება. აღსანიშნავია, რომ ცენტრის აბიტურიენტები წარმატებით აბარებენ ეროვნულ გამოცდებს.

2000 წლიდან, „ბორჯომის“ გადაწყვეტილებით, ბორჯომსა და მის შემოგარენში მცხოვრებ, წარჩინებულ მოსწავლეებს მარჩენალდაკარგული ოჯახებიდან, დაუწესდათ ყოველთვიური სტიპენდია. ამ ეტაპზე, კომპანიას 14 სტიპენდიატი ჰყავს, თუმცა, მათი რიცხვი მუდმივად იზრდება.

გუდვილი

გუდვილის სასწავლო ცენტრი

კომპანია „გუდვილი“ აქტიურადაა ჩართული საქართველოს პროფესიული განათლების ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიმართულებით. კომპანია თანამშრომლობს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციასთან, ასევე 14 პროფესიულ კოლეჯთან ქვეყნის მასშტაბით. თანამშრომლობა მოიცავს სხვადასხვა კომპონენტს - კურსდამთავრებულთა დასაქმება, ერთობლივი პროგრამების შექმნა, დაგეგმვა და განხორციელება.

„გუდვილის სასწავლო ცენტრი“ აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სასწავლო მოდულისა და პროგრამის განხორციელებაში. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, რეალურ სამუშაო გარემოში მიიღონ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. ამასთან, საგანმანათლებლო აქტივობებში, როგორც პედაგოგები, ჩართულნი არიან კომპანიის წამყვანი სპეციალისტები. სასწავლო მოდულები თემატიკის მიხედვით არის შემუშავებული და გადაწყვეტილება კონრეტული მოდულის სასწავლო ცენტრის ბაზაზე განხორციელების შესახებ კოლეჯთან ერთად მიიღება, ხოლო სასწავლო პროცესი გერმანული მოდელით, ოთხსაფეხურიანი მეთოდით წარიმართება.

2016 წლიდან, „გუდვილის სასწავლო ცენტრში“ გადამზადდა 700-ზე მეტი სტუდენტი. მხოლოდ 2021 წელს პროფესიულ კოლეჯთან „იკარუსი“ თანამშრომლობით სტუდენთა 11 ჯგუფი გადამზადდა. ამასთან, „გუდვილი“ ზრუნავს თანამშრომელთა მუდმივ გადამზადებასა და განვითარებაზე, როგორც შიდა, ასევე გარე ტრენინგებითა და გადამზადებით. პროფესიული განათლების ხელშეწყობა მნიშვნელოვანია კომპანიისათვის, რამდენადაც ახალი კადრების დასაქმების, ასევე თანამშრომელთა მუდმივი პროფესიული განვითარებისა და მათი ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას ქმნის.

ეიპიემ ტერმინალს ფოთი

პროგრამა ინპორტი

კორპორაციული მდგრადობის თვალსაზრისით, „ეიპიემ ტერმინალს ფოთის” ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ხარისხიანი განათლების ხელშეწყობაა.

კომპანიის ინიციატივით ხორციელდება ტალანტების მოზიდვისა და განვითარების პროგრამა „ინპორტი.” პროგრამის ფარგლებში, ნავსადგურში, ყოველ წელს 10-მდე ახალგაზრდა გადის ოთხთვიან თეორიულ და პრაქტიკულ კურსს ნავსადგურის საქმიანობის შესახებ.

პროგრამა „ინპორტი“ მონაწილეებს მრავალფეროვან სასწავლო გარემოს სთავაზობს; სასწავლო კურსის მანძილზე ისინი ეცნობიან სასწავლო მოდულებს, კომპანიის ხელმძღვანელობასთან მართავენ საინტერესო დისკუსიებს მნიშვნელოვან თემებზე, ასრულებენ გუნდურ თუ ინდივიდუალურ დავალებებს, წარმოადგენენ პრეზენტაციებს, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მათ განივითარონ კონკურენტული უნარ-ჩვევები, გუნდურობის შეგრძნება და უკეთ მოემზადონ შემდგომი კარიერული გამოწვევებისათვის.

თეორიული კურსის შემდეგ, რომელიც ძირითადად ორგანიზაციული და მმართველობითი უნარების გამომუშავება-განმტკიცებას ემსახურება, პროგრამა ითვალისწინებს მონაწილეების ჩართულობას უშუალოდ სხვადასხვა დეპარტამენტის საქმიანობაში, რაც მათ საშუალებას მისცემს უკეთ გაეცნონ ამა თუ იმ სამსახურის მუშაობის სპეციფიკას და მიიღონ გააზრებული კარიერული გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ „ინპორტის“ პროგრამაში 50-მდე ადგილობრივმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა, აქედან 30-მდე მონაწილე კომპანიამ უკვე დაასაქმა.

APM TERMINALS
Lifting Global Trade

ეიპიემ ტერმინალს ფოთი

სიმულაციური ლაბორატორია

კორპორაციული მდგრადობის მიმართულებით, „ეიპიემ ტერმინალს ფოთის" ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება ხარისხიანი განათლების ხელშეწყობაა.

2021 წლის მარტში „ეიპიემ ტერმინალს ფოთის" მხარდაჭერით „ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელ ცენტრში" ამწე საშუალებების სიმულაციური ლაბორატორია მოეწყო. აღნიშნული სიმულატორი, რომლის ღირებულება 130 000 აშშ დოლარს შეადგენს, გამოიყენება 6 ტიპის სანავსადგურე და სამშენებლო ტექნიკის ოპერირების საკლასო სწავლებისათვის, როგორებიცაა: სანავსადგურე მობილური ამწე (MHC), გემი-ნავმისადგომი ტიპის ამწე (STS), ბნევმოთვლიანი ჯოჯგინა ამწე (RTG), საკონტეინერო ავტომტვირთველი, ჩანგლიანი ავტომტვირთველი და ექსკავატორი.

მითითებული თანამედროვე ტექნიკის ტიპებიდან ორი - STS და RTG, დღესდღეობით არ გამოიყენება ქართულ ბაზარზე, მაგრამ მათი მართვის შესწავლა კრიტიკულად მნიშვნელოვანი გახდება ფოთის ახალ ღრმაწყლოვან ნავსადგურში წარმოქმნილი საჭიროებების შესაბამისად. სწორედ ამიტომ, ნავსადგური წინასწარ ამზადებს პერსონალს, რათა საჭიროების მიხედვით, ახალ ნავსადგურში მოახდინოს მათი დასაქმება, საჭირო უნარების განვითარება და ადგილობრივ დონეზე ხარისხიანი პროფესიული განათლების ხელშეწყობა.

ელემენტ
კონსტრაქშენი

ელემენტ კონსტრაქშენი

განათლების ფონდის მხარდაჭერა

კომპანია "ელემენტ კონსტრაქშენისთვის" ხარისხიანი განათლება და განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული დისტანციური სწავლების პროცესში გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ნაწილს დისტანციური სწავლებისათვის სათანადო პირობები, ტექნიკური რესურსი, ასევე ინტერნეტზე წვდომა, არ გააჩნდა. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალური რეგიონებში იყო. „ელემენტ კონსტრაქშენმა" კახეთში არსებული „განათლების ფონდის" მხარდაჭერა გადაწყვიტა. კომპანიამ 15 გამორჩეულად წარმატებულ მოსწავლეს პლანშეტური კომპიუტერები გადასცა და ინტერნეტთან წვდომის შესაძლებლობა შეუქმნა. ტექნიკური უზრუნველყოფის გარდა, კომპანიამ მოსწავლეების მენტორობის სურვილიც გამოთქვა. ახალგაზრდების განათლების შეტანილი წვლილისთვის „ელემენტ კონსტრაქშენს" „განათლების ფონდისგან" მადლობის სიგელი გადაეცა.

პროექტის ფარგლებში მობილიზებული რესურსების მეშვეობით, გლობალური პანდემიის პირობებში შექმნილი რამდენიმე პრობლემა გადაიჭრა, მოსწავლეების დისტანციურ სასწავლო პროცესში მონაწილეობის საშუალება შეექმნათ.

ელემენტ კონსტრაქშენი

თანამშრომელთა პროფესიული განვითარების სისტემა

„ელემენტ კონსტრაქშენისათვის“ მნიშვნელოვანია, თანამშრომლებს საკუთარი შესაძლებლობის რეალიზებისთვის მაქსიმალური შესაძლებლობები შეუქმნას, მათ შორის, საერთაშორისო ტრენინგებში მონაწილეობისა თუ სამშენებლო ინდუსტრიის სხვადასხვა აქტუალურ მოვლენაში ჩართულობის შესაძლებლობა. შედეგად, კომპანიას გუნდის წევრები ინოვაციურ მიდგომებსა და გადაწყვეტილებებს სთავაზობენ, რაც სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს. 2020-2021 წელს სხვადასხვა მნიშვნელოვანი მიმართულებით ტრენინგი გაიარა 40-ზე მეტმა თანამშრომელმა.

ტრენინგების მიმართულებები HR დეპარტამენტის მიერ დგინდება წლის დასაწყისში და თითოეული დეპარტამენტისთვის განისაზღვრება შესაბამისი, საინტერესო აქტივობები. აღსანიშნავია, რომ გარდა დადგენილი ღონისძიებებისა, კომპანიისათვის მნიშვნელოვანია და უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინიციატივების განხორციელებას.

კომპანიაში აქტიურია ტრენინგზე მიღებული გამოცდილების გაზიარების პრაქტიკა. გარდა ამისა, „ელემენტ კონსტრაქშენის“ თანამშრომლები დაინტერესებულ პირებს ხშირად უზიარებენ საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებას. კომპანიის სამშენებლო მოედნებსა და სათაო ოფისს სისტემატურად სტუმრობენ სახელმწიფო, კერძო, უმაღლესი თუ პროფესიული სასწავლებლის სტუდენტები.

EDISON TECH

STEM BOX

STEM Box არის ინოვაციური პროექტი, რომელიც ედისონის გუნდმა განავითარა. პროექტის მეშვეობით, ბავშვები ყოველთვიურად იღებენ კონსტრუქტორებსა და ჭკვიან ბლოკ სქემებს, რითიც შეუძლიათ, როგორც ინსტრუქციაში გაწერილი ჭკვიანი პროექტების შექმნა, ასევე თავიანთი წარმოსახვით ნებისმიერი ტექნოლოგიური პროტოტიპის განხორციელება.

STEM Box-ის ბლოკ სქემური პლატფორმით თანამედროვე ინჟინერიის კომპონენტები გადმოტანილია მოდულებში, რითაც მიღებულია უმარტივესი ბლოკები, რომლებიც ერთმანეთს მაგნიტებით ან კაბელით უერთდება და პროგრამდება Scratch-ის პლატფორმით. ამ გზით, ბავშვებს უკვე შეუძლიათ რამდენიმე დღეში ისეთი სირთულის პროექტების პროტოტიპების შექმნა, რომლებზეც ინჟინრები კვირების განმავლობაში მუშაობენ. STEM Box პლატფორმაში მონაწილეობა შეუძლიათ ბავშვებს 6 წლის ასაკიდან. STEM Box პროექტი ხელს უწყობს ცოდნის გადაცემას მოსწავლეებისათვის, მათ საშუალება აქვთ სწრაფად შეისწავლონ მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია და მათემატიკა. ასაკობრივი სეგმენტის მიხედვით, მოსწავლეებს შეუძლიათ, სწავლა დაიწყონ მარტივი პროექტებით (მოდულებითა და კონსტრუქტორებით), შემდგომში გამოიყენონ ეს მოდულები და განავითარონ დიდი პროექტების პროტოტიპები.



ეფეს საქართველო

განათლების მხარდაჭერა

„ეფეს საქართველო“ მხარს უჭერს უმაღლეს სასწავლებლებს და პერიოდულად, მათი სტუდენტებისთვის ატარებს ლექციებს სხვადასხვა თემაზე (მარკეტინგი, PR, CSR, წარმოება). ლექციებს ატარებენ „ეფეს საქართველოს“ გამოცდილი თანამშრომლები და დისკუსიები „ეფეს საქართველოს“კონკრეტული მაგალითების საფუძველზე წარიმართება. გარდა ამისა, უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით ტარდება საჯარო ლექციები, რომლებზეც დასწრებაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია.

„ეფეს საქართველო“ ხელს უწყობს სტუდენტების დასაქმებასა და განვითარებას - კომპანიამ 2021 წელს დაიწყო ახალი, ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამები სხვადასხვა მიმართულებით, რითაც სტუდენტებს შეუძლიათ, შეისწავლონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები პროფესიონალ გუნდთან ერთად.

„ეფეს საქართველომ“ დააარსა ფონდი „ნატახტარი“. ფონდის თითოეული ბენეფიციარისათვის პროგრამა და აქტივობების ერთობლიობა ყალიბდება ინდივიდუალურად, ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს მზრუნველობამოკლებული ახალგაზრდებისათვის ხელობის სწავლება. კომპანიისათვის ასევე მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლების ხელშეწყობა მოზარდებისთვის. „ფონდი ნატახტარი“ ზრუნავს მოზარდებისთვის საჭირო ინვენტარის და სახელმძღვანელოების შეძენაზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტაჟირებაზე. პანდემიის პერიოდში „ფონდი ნატახტარი“ ბენეფიციარებს დაეხმარა ონლაინ სწავლების უზრუნველყოფაში.

ამასთან, „ეფეს საქართველოს“ გაყიდვების გუნდის პროფესიული განვითარებისთვის შეიქმნა გრძელვადიანი პროექტი, რომელიც დაიწყო 2021 წელს. შესაბამისი ტრენინგების მთავარი მიზანია გაყიდვების გუნდის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების მაქსიმალური ხელშეწყობა და შესაბამისად, სწავლა-სწავლების სრული მეთოდოლოგიის/ინსტრუმენტების (ტრენინგი/ვოქრშოპი/ON JOB ტრენინგი/ სემინარი/ ქოუჩინგი) გამოყენებით ცოდნის, უნარების და პროფესიული კომპეტენციების შექმნა-გაძლიერების უზრუნველყოფა.

კომპანია მხარს უჭერს ახალგაზრდა ხელოვანების პროფესიულ განვითარებას და მათი საქმიანობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ამ მიზნით, ფინანსდება მუსიკის ფესტივალები და ღონისძიებები, მზადდება მოკლე ფილმები და ვიდეოები ხელოვანების მიღწევებისა და ნამუშევრების შესახებ. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ლუდი „ქარვას“ მუსიკალური კონკურსი, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა და ეხმარება ახალგაზრდა შემსრულებელებს.



თიბისი ბანკი

სტარტაპების მხარდაჭერა: სტარტაპ დეკრეტი

საქართველოში მეწარმეობის განვითარება „თიბისისათვის“ ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა და აქტიურად უჭერს მხარს სხვადასხვა ინიციატივით: თიბისი ბიზნეს დაჯილდოვება, თიბისის ბიზნეს კლუბი და სხვა.

„სტარტაპ დეკრეტი“ ინოვაციური პროექტია, რომლის მიზანია თანამშრომლებში მეწარმეობისა და ინოვაციების ხელშეწყობა და ზოგადად, ქვეყანაში სტარტაპ-ეკოსისტემის განვითარების მხარდაჭერა. თანამშრომელს, რომელიც მინიმუმ 18 თვე მუშაობს „თიბისი ბანკში“, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პროექტში და წარადგინოს ბიზნეს იდეა. დამოუკიდებელი ჟიური გამოავლენს ყველაზე ინოვაციურ იდეას და ავტორს შესაძლებლობა აქვს, ისარგებლოს სრულად ანაზღაურებადი „სტარტაპ დეკრეტით“ 6 თვის განმავლობაში, რომ შეძლოს საკუთარი სტარტაპის განვითარება.

ამავდროულად, თანამშრომლებს შეუძლიათ, ისარგებლონ „სტარტაპერის“ სერვისით - ბანკის მიერ სტარტაპებისთვის შეთავაზებული სპეციალური პაკეტით, ასევე სტარტაპ განათლების კომპონენტით, ინდივიდუალური კონსულტაციები. „სტარტაპ“ კურსი - ინიციატივა ეხმარება თანამშრომლებს / ახალგაზრდებს სტარტაპ იდეის უკეთესად რეალიზებაში. კურსი მოიცავს სხვადასხვა თემას - რა არის ინოვაციური სტარტაპი, პროდუქტის დიზაინი, იდეის დამტკიცება, ბრენდი და კომუნიკაცია და სხვა. მიმდინარე წელს, კურსზე მონაწილეობდა თიბისის 150 თანამშრომელი.

სტარტაპ დეკრეტის გამოყენების შემდეგ, თანამშრომელს შესაძლებლობა აქვს, დაბრუნდეს სამსახურში „თიბისიში” ან დარჩეს მხოლოდ ახალ ბიზნესში.

თიბისი ბანკი

ეჯაილ ტრანსფორმაცია

„თიბისი ბანკმა“ ლიდერობისა და კარიერული განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა - 2019 წლიდან დაიწყო ეჯაილ ტრანსფორმაცია (Agile transformation). „თიბისი“ იყო პირველი კომპანია საქართველოში, რომელმაც შემოიღო ეჯაილ მუშაობის პრინციპი. „თიბისისათვის“ ტრანსფორმაციის მიზნებს წარმოადგენდა - მომხმარებელზე ორიენტირება და მათ საჭიროებებზე უფრო სწრაფი რეაგირება, რუტინუ, ლი საქმისა და ბიუროკრატიის, იერარქიული შეზღუდვების მინიმუმამდე შემცირება პროდუქტის ბაზარზე მოხვედრის დაჩქარება და მეტი ინოვაციური პროდუქტის შექმნა. ამასთან , თანამშრომელთა კმაყოფილების ზრდა და მათი თვით-რეალიზაციის მხარდაჭერა, განსაკუთრებული სამუშაო გარემოს შექმნა და წამყვანი სპეციალისტების მოზიდვა.

რამდენადაც ეჯაილ სტრუქტურა ხელს უწყობს თანამშრომელთა გაძლიერებას და ღია სამუშაო კულტურის დამკვიდრებას, თანამშრომლები მეტად იყვნენ მზად დისტანციური მუშაობისთვის და ახალ რეალობასთან ადაპტაციისათვის. რეგიონის მასშტაბით საკუთარი გამოცდილების გაზიარების მიზნით, თიბისიმ ჩაატარა ონლაინ კონფერენცია კომპანიებისათვის 16 ქვეყნიდან.

თიბისი ბანკი

საგანმანათლებლო პროგრამები

„თიბისი ბანკი“ საგანმანათლებლო მიმართულებით სხვადასხვა პროექტს ახორციელებს. 2011 წელს „თიბისი ბანკმა“ შექმნა „თიბისი აკადემია“, რომელიც ბანკის თანამშრომლებისთვის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს. აკადემია რამდენიმე მიმართულებას აერთიანებს - ბიზნეს სკოლა, აკადემია ეჯაილი, აკადემია ავალანში (ანალიტიკა). 2020 წელს, აკადამიაში სხვადასხვა მიმართულებით სასწავლო პროგრამებში მონაწილეობდა 855 თანამშრომელი. 2021 წელს „თიბისიმ“ დააარსა მარკეტინგის სკოლა - ბანკის 23-მა თანამშრომელმა (19 ქალი, 4 კაცი) მონაწილეობს.

ციფრული ტრანსფორმაციისა და ამ მიმართულებით გუნდის გაძლიერების, ასევე ახალგაზრდებში ICT მიმართულებით დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, „თიბისიმ“ 2019 წელს დააარსა „IT აკადემია“. აკადემიას ხელმძღვანელობენ ბანკის თანამშრომლები და სფეროს წამყვანი სპეციალისტები. პროგრამა შერჩეული სტუდენტებისთვის უფასოა და მოიცავს სხვადასხვა კურსს შესაბამისი მიმართულებით. 2019 წლიდან 400-მა სტუდენტმა გაიარა კურსები აკადემიაში, ხოლო 114 დასაქმდა „თიბისი ბანკში“ აკადემიის დასრულების შემდეგ. 2021 წელს აკადემიამ დაიწყო ახალი პროგრამა ფოკუსით - ქალები ტექნოლოგიების სფეროში. ვებინარებისა და კურსები სერია ხელს უწყობს ქალების გაძლიერებას და პროფესიული განვითარების შესაძლებლობას ტექნოლოგიების მიმართულებით.

2020 წელს „თიბისიმ“ დააფუძნა აკადემია რისკების მართვის მიმართულებით, რომელიც ახალგაზრდა პროფესიონალებს შესაბამისი მიმართულებით სხვადასხვა კურსს სთავაზობს. აკადემიის მიზანია ახალგაზრდა პროფესიონალების მომზადება საბანკო სფეროს კონკრეტული მიმართულებით და მათი მომზადება მომავალი კარიერისათვის. კურსი უსასყიდლოა და წარჩინებულ სტუდენტებს „თიბისი ბანკში“ დასაქმების შესაძლებლობას სთავაზობს.

სტარტაპ დეკრეტი „თიბისის“ ინოვაციური პროექტია, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომელთა შორის მეწარმეობისა და ინოვაციების ხელშეწყობას, ასევე ქვეყანაში სტარტაპ ეკო-სისტემის განვითარებას. „თიბისიმ“ შექმნა სტარტაპ კურსი ბანკის თანამშრომლებისთვის, რომლის ფარგლებშიც მსმენელები სწავლობენ, როგორ განავითარონ იდეა, გაუმკლავდნენ სხვადასხვა სირთულეებს საკუთარი ბიზნესის შექმნისას.

„თიბისი“ აკადემიები კარგ გარემოს ქმნის პროფესიული შესაძლებლობების განვითარებისათვის კომპანიაში ახალი ტალანტების დასაქმების თვალსაზრისით, ასევე ხელს უწყობს თანამშრომელთა დაწინაურებას, მოტივაციასა და პროდუქტიულობას.

ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია „კრისტალი“

დისტანციური მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა

COVID – 19 პანდემიის პერიოდში, დისტანციურ მუშაობაზე გადასული თანამშრომლების მხარდაჭერისათვის “კრისტალმა” ჩაატარა კვლევა და შექმნა სპეციალური სახელმძღვანელო თანამშრომლებისა და მენეჯერებისთვის, რომლის მთავარი მიზანი იყო მოეხდინა: კომპანიაში დისტანციური მუშაობის მექანიზმის შექმნა; დახმარებოდა თანამშრომლებს დისტანციური მუშაობისათვის აუცილებელი უნარების გამომუშავებაში და ახალ რეალობაში შეენარჩუნებინათ სამუშაო-პირადი ცხოვრების ბალანსი.

ჩატარდა თემატური ვებინარები, რომლის ფარგლებში გადამზადდა 500-მდე თანამშრომელი. ვებინარის თემები მოიცავდა ეფექტიანი მენეჯმენტს, ლიდერული კომპეტენციების გაძლიერებას, გუნდურ და ინდივიდუალურ ქოუჩინგ სესიებს. უცხოელი და ქართველი ექსპერტების ჩართულობით, სპეციალურად მენეჯერებისთვს შემუშავდა დისტანციურად მომუშავე გუნდების ქოუჩინგის სახელმძღვანელო, რომელიც მნიშვნელოვნად დაეხმარა მენეჯერებს პანდემიის პერიოდში გუნდებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებასა და სამოტივაციო გარემოს შექმნაში. კომპანიის მასშტაბით, გაციფრულდა ყველა ტიპის სწავლების პროცესი, შესაძლებელი გახდა ახალი თანამშრომლების პანდემიის პირობებში ადაპტაცია, თანამშრომლების ცოდნის ამაღლება.

საფინანსო სექტორში მუშაობით დაინტერესებული ახალგაზრდების პროფესიული და საკარიერო განვითარების მიზნით, კომპანიაში „კრისტალმა“ შექმნა სტაჟირების სისტემა, რომელიც საორიენტაციო და პროფესიული სტაჟირების ეტაპებს ეფუძნება. სტაჟირების სისტემა ამოქმედდა კომპანიის ყველა ფილიალში, დედაქალაქსა და რეგიონებში.

„კრისტალმა“ რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების სწავლებასა და სტაჟირებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ჩამოაყალიბა მენტორთა კლუბი. „კრისტალი“ ახალგაზრდებს დასაქმებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობებსაც სთავაზობს. 2020-2021 წლებში კრისტალში სტაჟირება გავლილი ახალგაზრდების 55 % დასაქმდა კომპანიაში.

LEADER

შპს ლიდერი

ჭრა-კერვა მოდელირების კურსი და ტრენინგები

სოციალური საწარმო „ლიდერი“-ს მიზანია, ხელი შეუწყოს თანაბარი შესაძლებლობების შექმნას საგანმანათლებლო მიმართულებით და ხარისხიანი განათლება ხელმისაწვდომი გახადოს ქალებისა და გოგონებისათვის, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა.

ამ მიზნით, 2016 წლიდან შიდა ქართლში მცხოვრებ მოწყვლადი კატეგორიის ქალებს საწარმოს შემოსავლიდან სრულად უფინანსდებათ ჭრა-კერვის მოდელირების კურსები და ტრენინგები სამეწარმეო უნარ-ჩვევების გაძლიერებისათვის. აღნიშნული სასწავლო კურსები ხელს უწყობს ქალებს და გოგონებს გაძლიერებასა და დასაქმებაში, ხოლო მეორე მხრივ, სამკერვალო სფეროში კვალიფიციურ კადრებს ამზადებს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს დარგის განვითარებას. სასწავლო პროცესში დანერგილია გერმანული მოდელი და მოიცავს 3 მასტერკლასს გერმანელი ექსპერტებისაგან.

საწარმოს დაარსებიდან დღემდე გადამზადებულია 236 სოციალურად მოწყვლადი ქალი, მათგან 84 ქალი დასაქმებულია (მათ შორის, თვითდასაქმებული). პროექტი ყოველწლიურად მიმდინარეობს და რაოდენობრივი შედეგი მუდმივად მზარდია 35-45%-ით.

gec systemic business consulting

GEC | Systemic Business Consulting

ახალგაზრდა ბიზნეს-კონსულტანტების პროგრამა

კომპანია “GEC” მხარს უჭერს კვალიფიციური კადრების მომზადებას, სტუდენტებისა და ახალი კურსდამთავრებულების დასაქმებასა და პროფესიულ განვითარებას.

„ახალგაზრდა ბიზნეს კონსულტანტების პროგრამის“ ფარგლებში შერჩეული კანდიდატები გადიან ანაზღაურებად გრძელვადიან სტაჟირების პროგრამას კომპანიაში შემდგომი დასაქმების პერსპექტივით. პროგრამაში ჩართულ ახალგაზრდებს აქვთ წვდომა, როგორც ონლაინ, ასევე ბეჭდურ ბიზნეს ლიტერატურაზე, ესწრებიან მათთვის ორგანიზებულ ტრენინგებს და სასწავლო კურსებს. ახალგაზრდები ერთვებიან კომპანიაში მიმდინარე შიდა და გარე პროცესებსა და პროექტებში, რაც შესაძლებლობაა, პროფესიული გამოცდილება რეალურ ბიზნეს ქეისებზე დაყრდნობით მიიღონ.

პროგრამა მოიცავს რამდენიმე კომპონენტს, მათ შორის, თეორიული და ქეისებზე დაფუძნებული სწავლება, უშუალოდ სამუშაოსთან დაკავშირებულ პროექტებში ჩართულობა, ლიდერობის უნარების განვითარება, პროგრამის სხვა მონაწილეებთან ერთად პროექტზე მუშაობა, ასევე, თითეულ მონაწილეს ჰყავს ინდივიდუალური მენტორი. 2021 წელს რამდენიმე ეტაპიანი შესარჩევი კონკურსით შეირჩა პროგრამის 8 მონაწილე ახალგაზრდა კონსულტანტი.

პროგრამით ახალგაზრდებს ცოდნისა და უნარების განვითარების შესაძლებლობა აქვთ, რაც მათი დასაქმებისა და კარიერული წარმატებისთვის მნიშვნელოვანია.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

„საქართველოს ბანკი“ განათლების სფეროს აქტიური მხარდამჭერია. 2020 წლიდან დღემდე „საქართველოს ბანკის“ მიერ განხორციელებულ საგანმანათლებლო პროექტებს 26 000-ზე მეტი ბენეფიციარი ჰყავს.

2020 წელს, „საქართველოს ბანკმა“ ქართული წიგნის ინსტიტუტთან ერთად დაიწყო მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების „იდეათეკების პროექტი“ დაიწყო, რომელიც გულისხმობს საზღვრისპირა სოფლებში, მაღალმთიან რეგიონებში, სოციალურად დაუცველი მოსახლეობით და ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ ქალაქებში არსებულ საჯარო სკოლებში თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეების გახსნას. სივრცე სკოლის ყველა მოსწავლეს შესაძლებლობას უქმნის, ჰქონდეს წვდომა სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო რესურსებთან - ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა, წიგნები, საგანმანათლებლო თამაშები, კომფორტული სამუშაო სივრცე. 2020-2021 წლებში საქართველოს 6 სახვადასხვა რეგიონის 9 საჯარო სკოლაში გახსნილია მულტიფუნქციური ბიბლიოთეკა „იდეათეკა“ და 4 548 მოსწავლე სარგებლობს აღნიშნული სივრცეებით და ინვენტარით.

გარდა ამისა, საქართველოს ბანკი ხარისხიანი აფინანსებს მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ რამდენიმე სასტიპენდიო პროგრამას: Chevening დიდ ბრიტანეთში, Fulbright აშშ-ში, სან დიეგოს უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამას მოწყვლადი ჯგუფის სტუდენტებისთვის და ასევე Miami ad School EU–ში პორტფოლიო პროგრამას - „ნიკა გუჯეჯიანის სახელობის სტიპენდიით“.

პანდემიის პერიოდში განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით სხვადსხვა ასაკობრივი კატეგორიის ახალგაზრდებისთვის „საქართველოს ბანკმა“ განახორციელა შემდეგი პორეექტები:

- Charte.ge-სთან ერთად, 300 სოციალურად დაუცველ მოსწავლეს ჩაურთო ინტერნეტი და დაუფარა მთელი წლის ინტერნეტის საფასური;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის შეიძინა და გადასცა Zoom Education-ის ლიცენზია, შედეგად ჩატარებულია 68,912 შეხვედრა (ლექცია, სემინარი, ვრქშოპი);
- „წიგნების თაროს“ ონლაინ სკოლის პროექტის ფარგლებში პანდემიის პერიოდში I-IV კლასის 1 136 მოსწავლე დაესწრო წიგნების თაროს ონლიან გაკვეთილებს. ასევე დიცის და ხურვალეთის, ფოთის 1 და თბილისის 146-ე საჯარო სკოლის (სადაც ბანკმა 2020 წელს იდეათეკები მოაწყო) I-IV კლასის 760 მოსწავლეს მიეცა შესაძლებლობა დასწრებოდა წიგნის თაროს 2021 წლის გაზაფხულის ონლაინ გაკვეთილებს.

საქართველოს რკინიგზა

პროფესიული განათლების ხელშეწყობა

„საქართველოს რკინიგზისათვის“ განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი მიმართულებაა და ახორციელებს პროგრამებს რამდენიმე მიმართულებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, 2015 წელს „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი“ დაარსდა, რომელიც ამზადებს ახალ კადრებს დარგში დანერგილი ახალი ტექნოლოგიებისა და სიახლეების გათვალისწინებით; უზრუნველყოფს რკინიგზის თანამშრომლების გადამზადების უწყვეტ პროცესს.

„საქართველოს რკინიგზა“ ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქეებისა და მათ შორის, საკუთარი დასაქმებულების კვალიფიკაციის ამაღლებას. იმ თანამშრომლებს, რომლებიც საჭიროებენ კვალიფიკაციის ამაღლებას, ახალი კომპეტენციებისა და უნარების განვითარებას, შესაძლებლობა აქვთ, აიმაღლონ კვალიფიკაცია კოლეჯში, სწავლის პერიოდში ხელფასის შენარჩუნებით.

„საქართველოს რკინიგზა“ „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ კურსადმთავრებულს სთავაზობს გარანტირებულ დასაქმებას, ასევე, წარჩინებულ სტუდენტს ეძლევა საშუალება სწავლების პარალელურად დასაქმდეს „საქართველოს რკინიგზაში“.

2014 წლიდან მოქმედებს სწავლის მხარდაჭერის პროგრამა გრძელვადიან საგანმანათლებლო მიმართულებებზე (მაგისტრატურა, დოქტურანტურა), რომელიც ითვალისწინებს თანამშრომელთათვის 50% თანადაფინანსებას. გარდა ამისა, „საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომლები არიან „სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის“ პროგრამების ხელმძღვანელები და ინსტრუქტორები და თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას კოლეჯის სტუდენტებს გადასცემენ.

EY / პროექტი EU4DIGITAL / EDTECH HUB

„EY საქართველო“ ევროკავშირის EU4Digital პროექტის ფარგლებში მუშაობს EdTech Hub კონცეფციაზე, რომელიც ხარისხიანი განათლების გაციფრულებას გულისხმობს. პროგრამის მიზანია ტექნიკური / ციფრული ცოდნის ამაღლება და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის გაზრდა. EdTech Hub განიხილება, როგორც რეგიონალური საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ქმნის შესაძლებლობებს ციფრული უნარების გასაუმჯობესებლად ონლაინ სწავლების პლატფორმის საშუალებით. EdTech Hub-ის ფარგლებში, შეიქმნება ონლაინ ფლატფორმა, სადაც განთავსდება ციფრულ განვითარებაზე ორიენტირებული კურსები და „ბეიჯების“ კატეგორიები დაიყოფა 3 დონედ: ბრონზის ბეიჯი, ვერცხლის ბეიჯი და ოქროს ბეიჯი.

პროგრამა მოიცავს სამ ძირითად სამიზნე ჯგუფს: მცირე და საშუალო ბიზნესები, ინოვაციების მხარდამჭერი ორგანიზაციები და საჯარო მოხელეები. ინიციატივის მეშვეობით მცირე და საშუალო ბიზნესებს ექნებათ პერსონალური და მოდულარული სწავლის შესაძლებლობა, განავითარონ ციფრული უნარები და კომპეტენციები სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა მონაცემები და ღრუბელი, ვებ და მობილური პროგრამული უზრუნველყოფის განვითარება, ბიზნესისა და ინოვაციების მენეჯმენტი, მარკეტინგი ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით და სხვა. კურსების გავლის შემდეგ, მოსწავლეს გადაეცემა ევროკავშირის მიერ აკრედიტირებული ბეიჯი.

პროგრამის გავლის შედეგად, გადამზადდებიან თანამშრომლები და გაიზრდება მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობა ციფრული მიმართულებით, გაიზრდება შესრულებული სამუშაოს ხარისხი. პროგრამა დაეხმარება ბიზნესს ცვლილებებთან ადაპტაციასა და გაზრდაში. ამასთან, უფრო ფართო ხედვით, ICT სექტორის განვითარება მნიშვნელოვანია საქართველოს განვითარებისათვის, პროგრამა კი ხელს შეუწყობს ქვეყანაში სფეროს განვითარებას.

ჯეპრა

საზოგადო მოღვაწეთა ხელნაწერების გაციფრულება

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, “ნიკო ნიკოლაძის პრემიის” ფარგლებში ჯეპრამ, პირველად, სრულად გააციფრულა ნიკო ნიკოლაძის ხელნაწერი. იაკობ გოგებაშვილის 180 წლის იუბილესთან დაკავშირებით კი კომპანიამ იაკობ გოგებაშვილის შრიფტი წარუდგინა საზოგადოებას.

2021 წლის გაზაფხულზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერების ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ხელნაწერი შრიფტები შეიქმნა.

ამჟამად, ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით მიმდინარეობს ქართული ანბანის სამივე სახეობიდან გამორჩეული ძეგლების მიხედვით („ანბანდიდი სახარება“-ასომთავრული, „სახარება-პალიმფსესტი“ - ნუსხური, „იაზონის და მედას ამბავი“-მხედრული) შრიფტების შექმნა, რომელიც ეძღვნება UNESCO-ს მიერ ქართული ანბანის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის 5 წლის იუბილეს.

პროექტი მნიშვნელოვანია, რადგან ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას და ახალი თაობისთვის საზოგადო მოღვაწეთა უკეთ გაცნობას, ახალი ქართული ფონტების შექმნას.

ჯეპრა

ნიკო ნიკოლაძის პრემია

„ნიკო ნიკოლაძის საუნივერსიტეტო პრემია“ დაარსდა 2019 წლის გაზაფხულზე. პრემიის დაარსების მიზანია ბიზნესსა და საგანმანათლებლო სექტორს შორის კავშირის გამყარება, ბიზნესის საჭიროებებზე მორგებული პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა, ასევე, ნიჭიერი სტუდენტების გამოვლენა, მათი ინოვაციური იდეების წახალისება და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

პრემია ითვალისწინებს უმაღლეს სასწავლებლებში კომპანიების სპონსორობით და რეალური ქეისების საფუძველზე კონკურსების ჩატარებას და გამარჯვებული გუნდებისთვის ფულადი ჯილდოსა და „ნიკო ნიკოლაძის პრემიის“ გადაცემას. სამიზნე ჯგუფები არიან უნივერსიტეტები და ის კომპანიები, რომლებისთვისაც მნიშვნელოვანია კორპორაციული პასუხისმგებლობა და მხარს უჭერენ ხარისხიან განათლებას.

პრემიის ფარგლებში, პირველი კონკურსი 2019 წლის გაზაფხულზე ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ კონკურსთან „მისიასთან“ და კომპანია „ბაზისბანკთან“ თანაშრომლობით. პროექტზე მუშაობის განმავლობაში სტუდენტებს ჩაუტარდათ ლექცია-სემინარები პროექტის მენეჯმენტის, მარკეტინგული კვლევების, კომუნიკაციის მეთოდებისა და ბიზნესების როლზე ხარისხიანი განათლების განვითარებაში.

კონკურსის საპრიზო ფონდი 5000 ლარს შეადგენდა, ხოლო პირველ ადგილზე გასულ გუნდს ჯეპრასგან დამატებით პრემია გადაეცა.

2021 წლის თებერვალში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „ჯეპრა“-ს ორგანიზებით გაიმართა მასშტაბური ჰაკათონი ნიკო ნიკოლაძის ჩეთბოტის შესაქმნელად, რომელშიც მონაწილეობდნენ X-XII კლასის მოსწავლეები და სტუდენტები მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2021 წლის გაზაფხულზე საქართველოს უნივერსიტეტისა და “ჯეპრას” ორგანიზებით ჩატარდა მომდევნო კონკურსი „პიართონი“.

ჰენდიკრაფტი

ქალებისთვის სამუშაო გარემოს შექმნა

კომპანია ჰენდიკრაფტი აწარმოებს პროდუქტს, რომელიც მშობლებს საშუალებას აძლევს, მეტი დრო გაატარონ ბავშვებთან. ამასთან, კომპანიაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი ქალია და სამუშაო გარემო მათთვის მაქსიმალურად მორგებულია. გარდა ამისა, ჰენდიკრაფტის პროექტის მიზანია, ქალებისთვის ისეთი სამუშაო გარემო შექმნას, რომელიც საშუალებას მისცემს მათ განვითარდნენ და სამუშაო ბაზარზე დაიმკვიდრონ თავი, შეძლონ, შეიძინონ ან განავითარონ საკუთარი პროფესია კერვის მიმართულებით. ჰენდიკრაფტის მთავარი მიზანი 2021 წლისთვის, არის წარმოების გაფართოება და დამატებით 3 ქალი თანამშრომლის დასაქმება.

მიუხედავად მცირე მეწარმეობისა, კომპანიის მიზანია, პროდუქტის საზღვარგარეთის ბაზარზე გატანა, რისთვისაც, მნიშვნელოვანი იყო ექსპორტის მენეჯმენტის ტრენინგი (აწარმოე საქართველო, GIZ). ექსპორტის წარმატების შემთხვევაში კომპანიის პოტენციალი, რომ მეტი ქალი დაასაქმოს გაიზრდება და როგორც მცირე საწარმო, ეკონომიკის განვითარებაში შეიტანს წვლილს.

ჰილტონ ბათუმი

განათლების პროგრამების მხარდაჭერა

ჰილტონ ბათუმი აქტიურად მუშაობს ცნობიერების ამაღლებისა და სამსახურში თანამშრომელთათვის შესაძლებლობების შექმნის, გუნდის წევრთა როლის გაძლიერებაზე. „ჰილტონ ბათუმის“ ლიდერობის პროგრამა, რომელშიც 35-ზე მეტი ლიდერი მონაწილეობს, მოიცავს სხვადასხვა ტიპის სემინარს და ტრენინგს.

2015 წლიდან „ჰილტონ ბათუმი“ სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობს აჭარაში არსებულ პროფესიულ კოლეჯებთან. სასტუმრო აქტიურადაა ჩართული კოლეჯების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სტაჟირებისა და დასაქმების, მათ შორის, სპეციალური საჭიროების მქონე პირების დასაქმების მიმართულებით, დღეს ჰილტონში დასაქმებულია პროფესიული კოლეჯების 7 სპეციალური საჭიროების მქონე კურსდამთავრებული, „ჰილტონ ბათუმის“ პროფესიულ კოლეჯებთან თანამშრომლობის ფარგლებში, ამ ეტაპზე ხორციელდება სამი პროგრამა, სადაც ჯამში 12 სტუდენტი დასაქმებულია.

„ჰილტონ ბათუმი“ ზრდასრულთა განათლების პროგრამების მხარდაჭერის მიმართულებითაც ერთ-ერთი პარტნიორია. ამჟამად, კოლეჯ „ახალ ტალღასთან“ ერთად ხორციელდება საბაზო განათლების მქონე ახალგაზრდების შერჩევა, რომლებიც კოლეჯში სამწლიანი ინტეგრირებული კურსის გავლის შემდგომ მიიღებენ, როგორც 12 კლასის ატესტატს, ასევე კოლეჯის დიპლომს, სამი წლის განმავლობაში კოლეჯში მყოფი პროფესიული სტუნდეტები პრაქტიკულ სწავლებას გაივლიან სასტუმროში.

პანდემიის პირობებში, „ჰილტონ ბათუმმა“ სხვადასხვა სასტუმროში უმუშევრად დარჩენილი პროფესიული სტუდენტები ჩართო სასწავლო პროცესში, რითაც უზრუნველყო დუალური პროგრამების მდგრადობა.

გენდერული თანასწორობა

„ბიზნესი მდგრადი
განვითარებისთვის“

5 გენდერული
თანასწორობა

ADJARA GROUP HOLDING

აჭარა ჯგუფი
გენდერული თანასწორობის გაძლიერება

გენდერული თანასწორობა “აჭარა ჯგუფის“ ერთ-ერთ პრიორიტეტია, რაც ასახულია კომპანიის გენდერული თანასწორობის პროგრამაში, მართვის პოლიტიკაში, ოპერაციებსა და სტრატეგიული ხედვის განხორციელების პროცესებში. ჰოლდინგი ასევე „ქალთა გაძლიერების პრინციპების (WEP) ხელმომწერია.

კომპანიის აღმასასრულებელი გუნდს და ადმინისტრაციულ დეპარტამენტებს შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს გენდერული ბალანსის დაცვას კომპანიის ყველა დონეზე. ამჟამად, ჰოლდინგის დირექტორთა საბჭოს 7 წევრიდან 4 ქალია, ხოლო აღმსარულებელი მენეჯმენტის 75% ასევე ქალია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აჭარა ჯგუფის გუნდი მუშაობს კომპანიაში გენდერული სახელფასო სხვაობის შემცირებაზეც. ამ ეტაპისთვის, ადმინისტრაციულ დონეზე აჭარა ჯგუფმა აღნიშნული სხვაობა 2.5%-მდე შეამცირა.

გენდერული ბალანსის დაცვა ასევე პრიორიტეტს წარმოადგენს პარტნიორების შერჩევის პორცესშიც. ქალი ლიდერების გაძლიერება და მათი იდეების განხორციელებაში წვლილის შეტანა მნიშვნელოვანი ფაქტორია კონკრეტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის დაწყების განხილვისას. აღნიშნულმა სტრატეგიულმა მიდგომამ პარტნიორების შერჩევის კუთხით შედეგი უკვე გამოიღო და არაერთმა ქალმა ლიდერმა შეძლო საკუთარი საქმიანობის განვითარება. ამასთანავე, ასეთი პარტნიორობებით მუდმივად იქმნება პროფესიული განვითარების ახალი შესაძლებლობები.



ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

კოდინგის სკოლა ქალებისთვის

გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპების განხორციელების ფარგლებში, ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში 2019 წელს ქალთა კოდინგის სკოლა დაარსდა. კოდინგის სკოლის მთავარი მიზანი ტექნოლოგიების მიმართულებით ქალთა გადამზადება და დასაქმებაა. სკოლა მიზნად ისახავს: ქვეყნის მასშტაბით ცნობიერების ამაღლებას ტექნოლოგიების სფეროში კარიერის განვითარების შესახებ, მონაწილეთა გადამზადებას და მათი უნარების განვითარებას, ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებში გოგონების დასაქმებას და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას.

კოდინგის სკოლის პროექტის ფარგლებში გადამზადდა 250-ზე მეტი გოგონა აიტის (IT) მიმართულებით (front-end, back-end, ui/ux, data analytics, AI) და 2500-ზე ქალი გადამზადდა ტექნოლოგიური მეწარმეობის მიმართულებით.

აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანად უწყობს ხელს ტექნოლოგიების სფეროში მეტი გოგონას დასაქმებას, მათი როლისა და ზოგადად, სფეროს გაძლიერებას. კოდინგის სკოლის მიმართ ინტერესი მუდმივად მზარდია.

ეფეს საქართველო

ქალი თანამშრომლების ხელშეწყობა

ეფეს საქართველოსათვის გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა მნიშვნელოვანი მიმართულებაა. კომპანია 100%-ით ანაზღაურებს დეკრეტულ შვებულებას და შესაძლებლობას აძლევს ქალ თანამშრომლებს, იმუშაონ ხელმძღვანელ პოზიციებზე, მათ შორის, დაგეგმვის, ლოჯისტიკისა და განვითარების მენეჯერი, IT მენეჯერი, შესყიდვების მენეჯერი - ქალი თანამშრომლები არიან. ასევე, ქალები არიან ისეთ ხელმძღვანელ პოზიციებზე, როგორებიცაა: ბრენდ მენეჯერი, მარკეტინგის მენეჯერი, მარკეტინგული კვლევების მენეჯერი, PR და ციფრული კომუნიკაციების მენეჯერი და სხვა არაერთი განყოფილების უფროსი და ხელმძღვანელი.

ქალი თანამშრომლები, რომლებიც ორგანიზაციაში წარმოადგენენ გადაწყვეტილების მიმღებ, უფლებამოსილ პირებს, დადებით გავლენას ახდენენ კომპანიის განვითარებასა და წარმატებაზე.

2021 წელს „ეფეს საქართველო“ გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) მხარდამჭერი წევრი გახდა. 2021 წელს „ეფეს საქართველომ“ გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად განახორციელა საინფორმაციო კამპანია, რომლის მიზანია გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით არსებული გამოწვევების შესახებ ცნობიერების ამაღლება. კამპანია დაიწყო კომპანიის თანამშრომლებს შორის გამოწვევით შიდა სოციალურ ქსელში და დასრულდა ადგილობრივი (მცხეთის მუნიციპალიტეტი) ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით.



თეგეტა მოტორსი

#პროფესიასარაქვსგენდერი

ქალთა გაძლიერების პროგრამის ფარგლებში "თეგეტა მოტორსი" თანამშრომლობს გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) და გენდერული თანასწორობის სტრატეგიის ახალი ხედვის განსახორციელებლად ქალთა გაძლიერებისკენ მიმართულ სხვადასხვა პროექტშია ჩართული.

ქალთა გაძლიერების მიზნით, „თეგეტა მოტორსი" კამპანია არასამთავრობო ორგანიზაციის — „მოძრაობა ცვლილებისთვის" პარტნიორი და მხარს უჭერს პროექტს „პროფესიას არ აქვს გენდერი". პროექტის ფარგლებში, კონკურსის საფუძველზე შეირჩა 5 ქალი, რომლებმაც „თეგეტა აკადემიაში" გაიარეს გადამზადება, საბოლოო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ კი გათვალისწინებულია მათი დასაქმება კომპანიაში.

„თეგეტას" მიაჩნია, რომ ქალთა გაძლიერებისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „თეგეტას" სექტორში კომპანიების როლი.

თიბისი ბანკი

გენდერული თანასწორობა სამუშაო ადგილზე

თანასწორობა და მრავალფეროვნება „თიბისისათვის" განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კომპანიაში, ყველა თანამშრომელს თანაბრად ეპყრობიან. ამასთან, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვის ყველა მიმართულებით: შერჩევის, დაწინაურების, გადამზადებისა და განვითარების ეტაპებზე.

2021 წელს, „თიბისი" გახდა გაეროს „ქალთა გაძლიერების პრინციპების (WEPs)" ხელმომწერი. 2020 წლის მდგომარეობით, თანამშრომელთა 70% ქალია, ICT მიმართულებით კი - 36%.

ქალთა მხარდასაჭერად, „თიბისი" ახორციელებს სხვადასხვა ინიციატივას, მათ შორის IT აკადემია, რომელიც ხელს უწყობს ახალგაზრდებში ICT მიმართულებით დასაქმებას. აკადემიის 114 კურსდამთავრებული "თიბისი" ბანკის თანამშრომელი გახდა.

2021 წლის მარტში IT აკადემიამ დაიწყო ახალი პროგრამა კონკრეტული ფოკუსით - ქალები ტექნოლოგიების სფეროში. ვებინარებისა და კურსები სერია ხელს უწყობს ქალების გაძლიერებას და ქმნის პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს ტექნოლოგიების მიმართულებით. აკადემია ხელს უწყობს ახალგაზრდა პროფესიონალების მომზადებას, რომლებიც თავის მხრივ, წვლილს შეიტანენ კომპანიის შემდგომ განვითარებაში.

თიბისი ბანკი

„სტარტაპ დეკრეტი“

„სტარტაპ დეკრეტი“ ინოვაციური პროექტია, რომლის მიზანია თანამშრომლებში მეწარმეობისა და ინოცავიების ხელშეწყობა და ზოგადად, ქვეყანაში სტარტაპ-ეკოსისტემის განვითარების მხარდაჭერა. თანამშრომელს, რომელიც მინიმუმ 18 თვე მუშაობს თიბისი ბანკში, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პროექტში და წარადგინოს ბიზნეს იდეა. დამოუკიდებელი ჟიური გამოავლენს ყველაზე ინოვაციურ იდეას და ავტორს შესაძლებლობა აქვს, ისარგებლოს სრულად ანაზღაურებადი „სტარტაპ დეკრეტით“ 6 თვის განმავლობაში, რომ შეძლოს საკუთარი სტარტაპის განვითარება.

ამავდროულად, თანამშრომლებს შეუძლიათ, ისარგებლონ „სტარტაპერის“ სერვისით, ასევე სტარტაპ განათლების კომპონენტით, ინდივიდუალური კონსულტაციები. „სტარტაპ“ კურსი - ინიციატივა ეხმარება თანამშრომლებს / ახალგაზრდებს სტარტაპ იდეის უკეთესად რეალიზებაში. სტარტაპ დეკრეტის გამოყენების შემდეგ, თანამშრომელს შესაძლებლობა აქვს, დაბრუნდეს სამსახურში თიბისიში ან დარჩეს მხოლოდ ახალ ბიზნესში.

2020 წელს სტარტაპ დეკრეტის ფარგლებში წარდგენილი იყო 15 აპლიკაცია, აქედან 6 ეკუთვნოდა ქალს. მიმდინრე წელს, საინტერესო და ორიგინალური ბიზნეს იდეებიდან შერჩეულ იქნა UPWAY - პროექტი ითვალისწინებს ონლაინ პლატფორმის შექმნას, რომელიც განათლებითა და თვით-განვითარებით დაინტერესებულ ადამიანებს დააკავშირებს მასწავლებლებსა და ლექტორებთან. სამივე ნომინანტი ქალია.

სტარტაპ დეკრეტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ქალი თანამშრომლებისთვისაა. გაეროს ქალთა ორგანიზაცია საქართველოს სტატისტიკური მონაცემებით, ქალები, რომლებიც დასაქმებულნი არიან და კვირაში 40 საათს მუშაობენ, დამატებით დაახლოებით 42 საათი უწევთ მუშაობა საოჯახო საქმისთვის, რაც მათ თითქმის ნაკლებად არ უტოვებს დროს მეწარმეობისა და ბიზნეს იდეების განვითარებისათვის. აღსანიშნავია, რომ სტარტაპ დეკრეტის სახელისა და ხანგრძლივობის იდეა ეფუძნება დეკრეტის პრინციპებს.

თრეველ გაიდი

მდგრადი მოდის პლატფორმა „გარაჟი“

„გარაჟი“ სოციალურ ქსელში არსებული ჯგუფია, რომელიც მდგრადი მოდის / slow fashion პლატფორმას წარმოადგენს. ჯგუფშია ვირტუალური მაღაზია, სადაც მომხმარებელებს შეუძლიათ გაყიდონ და შეიძინონ, როგორც ახალი, ისე მეორეული ტანსაცმელი, შესძინონ ტანსაცმელს „მეორე“ სიცოცხლე „გარაჟულ“ ფასად.

ჯგუფში დღეში აქტიურად 30 000-მდე მომხმარებელია. ჯგუფის მომხმარებლების 100% ქალია, 1000-მდე ქალს აქვს მცირე ბიზნესი და შესაბამისად, აქტიურად იყენებენ ჯგუფს. ჯგუფი განსაკუთრებით აქტუალური გახდა პანდემიის პერიოდში, როდესაც ბევრი ქალი დარჩა სამსახურის გარეშე, მათ ბიზნეს საქმიანობა ახლა „გარაჟში“ განაგრძო ამასთან, ჯგუფი დაეხმარა მათ პანდემიით გამოწვეულ ცვლილებებთან გამკლავებაში (ონლაინ გაყიდვა, პროდუქტის რეკლამა). ჯგუფს მართავს კომპანიის გუნდი და მომხმარებლებს სთავაზობენ სპეციალურ შეთავაზებებს, რომ უფრო სწრაფად და მარტივად გაყიდონ პროდუქცია.

შპს ლიდერი

ქალების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა

სოციალური საწარმო „ლიდერი“-ს მიზანია, ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო მიმართულებით უთანასწორობის აღმოფხვრას და ხარისხიანი განათლება ხელმისაწვდომი გახადოს ქალებისა და გოგონებისათვის მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა.

ამ მიზნით, 2016 წლიდან შიდა ქართლში მცხოვრებ მოწყვლადი კატეგორიის ქალებს საწარმოს შემოსავლიდან სრულად უფინანსდებათ ჭრა-კერვის მოდელირების კურსები და ტრენინგები სამეწარმეო უნარ-ჩვევების გაძლიერებისათვის. აღნიშნული სასწავლო კურსები ხელს უწყობს ქალებს და გოგონებს გაძლიერებასა და დასაქმებაში, ხოლო მეორეს მხრივ, შრომის ბაზარზე მცირდება კვალიფიციური კადრის დეფიციტი სამკერვალო სფეროში, რაც ხელს უწყობს დარგის განვითარებას.

საწარმოს დაარსებიდან დღემდე გადამზადებულია 236 სოციალურად დაუცველი ქალი, მათგან 84 ქალი დასაქმებულია (მათ შორის, თვითდასაქმებული). პროექტი ყოველწლიურად მიმდინარეობს და რაოდენობრივი შედეგი იზრდება 35-45%-ით.

ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია „კრისტალი“

BUZZ საქართველოს კომპონენტი - ახალგაზრდების და ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერა საქართველოში (USAID YES-GEORGIA)

„კრისტალისათვის“ ქალთა გაძლიერება მნიშვნელოვანი მიმართულებაა, “კრისტალმა” 2020 წელს დაიწყო “Buzz Georgia/ბაზ-საქართველო“ კომპონენტის განხორციელება (ხორციელდება USAID-ის და და თეთრი სახლის ქალთა გლობალური განვითარების და კეთილდღეობის (W-GDP) ინიციატივის ფარგლებში). „Buzz საქართველოს” მიზანია, პიროვნული განვითარება და სამეწარმეო და ბიზნეს განათლება ხელმისაწვდომი გახადოს საქართველოს რაიონებსა და სოფლებში მცხოვრები ქალებისთვის.

Buzz Georgia-ს სატრენინგო მოდული მოიცავს ცოდნის ამარლებას ფინანსურ-სამეწარმეო ნაწილსა და პიროვნულ ზრდას. პროგრამის ფარგლებში - 2020-2024 წლებისთვის, Buzz Georgia-ს დახმარებით საქართველოში 1,500-ზე მეტ ქალს ექნება წვდომა ცოდნაზე, მეწარმეობაზე, ფინანსებზე, ბიზნეს სერვისებსა და პიროვნულ ზრდაზე.

გლობალური პანდემიის გამო, პროექტი ადაპტირდა ონლაინ რეჟიმში. 2020 წლიდან დღემდე Buzz Georgia/ბაზ-საქართველოს პიროვნული და სამეწარმეო განვითარების ტრენინგები გაირა 626 ქალმა მთელი საქართველოს მასშტაბით, მათგან შეირჩა 176 „Buzz ელჩი.“ შერჩეულმა ელჩმა ქალებმა დამატებით გაიარეს ინტენსიური ტრენინგები პიროვნულ მოტივაციაში, პროექტების წერასა და ეფექტურ ფინანსურ დაგეგმარებაში. ასევე, ჩაუტარდათ უფასო მასტერკლასები სოციალური მედიის მართვაში. გარდა ამისა, 2021 წლის ივნისი-ივლისის თვეში, იმერეთის რეგიონში, 8 ლოკაციაზე დამატებით 106-მა ადგილობრივმა ქალმა გაიარა Buzz Georgia-ს 2 დღიანი ინტენსიური ტრენინგ კურსი.



საქართველოს ბანკი

ქალი მეწარმეების ციფრული ადაპტაცია

„საქართველოს ბანკი“ ახორციელებს ქალი მეწარმეების მხარდამჭერ პროექტს - VISA-სთან ერთად ქალ მეწარმეებს შესთავაზა პროგრამა „ადაპტერში“ ჩართვა. „საქართველოს ბანკისა“ და VISA-ს ერთობლივი აქციის მიზანი ქალი მეწარმეების მხარდაჭერაა. აქციის ფარგლებში ქალ მეწარმეებს შესაძლებლობა აქვთ, მარტივად უპასუხონ პანდემიის პერიოდში შექმნილ გამოწვევას - ელექტრონულ ვაჭრობაზე გაზრდილ მოთხოვნას და შექმნილი რეალობის გათვალისწინებით მარტივად შეძლონ ციფრული ადაპტაცია.

„საქართველოს ბანკის“ ვიზა ბიზნეს ბარათის შეკვეთის შემთხვევაში, ქალი მეწარმე, რომელიც ჩართულია საცალო ვაჭრობაში და გააჩნია ფიზიკური მაღაზია, 6 თვის განმავლობაში „ადაპტერის მომსახურებას“ სრულიად უფასოდ მიიღებს. „ადაპტერი“ არის ციფრული ადაპტაციის პროგრამა ბიზნესებისათვის, რომელიც აერთიანებს, როგორც ონლაინ ვაჭრობის სივრცეს -Extra.ge, ასევე მარაგების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას-Optimo და ერთ სივრცეში სთავაზობს მომსახურებას: დისტანციური გაყიდვების მართვა, მარაგების მართვა, საბანკო სერვისებს/ელექტრონულ კომერცია, დისტრიბუცია და ლოგისტიკა.

პროექტი განკუთვნილია 100 ქალი მეწარმესთვის, პროექტი ამჟამად მიმდინარეობს და ჩართულია 25 ქალი მეწარმე.

საქართველოს რკინიგზა

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა

„საქართველოს რკინიგზის“ საქმიანობის პოლიტიკა, მიუხედავად ქალებში დარგის, როგორც დასაქმების შესაძლებლობის დაბალი პოპულარობისა, ორიენტირებულია ქალების დასაქმებისა და კომპანიის განვითარებაში მათი როლის ამაღლებისკენ. კომპანია მუშაობს რამდენიმე მიმართულებით: შიდა ნორმატიული აქტები დაფუძნებულია თანასწორობისა და ანტიდისკრიმინაციულ ქმედებებზე, გარდა ამისა, დამკვიდრებულია სხვადასხვა სახის ინიციატივა და წამახალისებელი ღონისძიებები (დეკრეტული შვებულების პირველი სამი თვის განმავლობაში თანამდებობრივი სარგოს 100%-ით ანაზღაურება, ერთჯერადი ფინანსური დახმარება ბავშვების დაბადებისას, მცირეწლოვანი ბავშვის ყოლისას დამატებით 1 საათიანი შესვენება). კომპანიის მიზანია დასაქმების ადგილას დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა, პრევენციული ღონისძიებების შემუშავება და დაგეგმვა.

გარდა ამისა, კომპანია ხელს უწყობს „სარკინიგზო კოლეჯში“ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში ქალების ჩართვას. ვინაიდან კომპანიაში ქალების უმეტესობა დასაქმებულია ადმინისტრაციულ, მენეჯერულ და სერვისის მიმართულებით არსებულ პოზიციებზე, „საქართველოს რკინიგზა“ ხელს უწყობს მათ სხვადასხვა პროფესიულ პროგრამაში ჩართვას „სარკინიგზო კოლეჯის“ დახმარებით. კოლეჯი ასევე მონაწილეობს სხვადასხვა პროექტში („World link”-ის მიერ ორგანიზებულ პროექტში-„გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა ტექნიკურ და პროფესიულ გაცვლით პროგრამა, ევროკავშირის პროექტი Skills4Jobs) და ახორციელებს არაერთ პროექტს, კამპანიასა და სემინარს ქალი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისათვის.

ჰენდიკრაფტი

ქალებისთვის სამუშაო გარემოს შექმნა

კომპანია ჰენდიკრაფტი აწარმოებს პროდუქტს, რომელიც მშობლებს საშუალებას აძლევს, მეტი დრო გაატარონ ბავშვებთან. ამასთან, კომპანიაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი ქალია და სამუშაო გარემო მათთვის მაქსიმალურად მორგებულია. გარდა ამისა, ჰენდიკრაფტის პროექტის მიზანია, ქალებისთვის ისეთი სამუშაო გარემო შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს მათ განვითარდნენ და სამუშაო ბაზარზე დაიმკვიდრონ თავი, შეძლონ შეიძინონ ან განავითარონ საკუთარი პროფესია კერვის მიმართულებით. ჰენდიკრაფტის მთავარი მიზანი 2021 წლისთვის, არის წარმოების გაფართოება და დამატებით 3 ქალი თანამშრომლის დასაქმება.

მიუხედავად მცირე მეწარმეობისა კომპანიის მიზანია, პროდუქტის საზღვარგარეთის ბაზარზე გატანა, რისთვისაც, მნიშვნელოვანი იყო ექსპორტის მენეჯმენტის ტრენინგი (აწარმოე საქართველო, GIZ). ექსპორტის წარმატების შემთხვევაში კომპანიის პოტენციალი, რომ მეტი ქალი დაასაქმოს გაიზრდება და როგორც მცირე საწარმო, ეკონომიკის განვითარებაში შეიტანს წვლილს.

Edison

EDISON TECH

STEM BOX

STEM Box არის ინოვაციური პროექტი, რომელიც ედისონის გუნდმა განავითარა. პროექტის მეშვეობით, ბავშვები ყოველთვიურად იღებენ კონსტრუქტორებსა და ჭკვიან ბლოკ სქემებს, რითიც შეუძლიათ, როგორც ინსტრუქციაში გაწერილი ჭკვიანი პროექტების შექმნა, ასევე თავიანთი წარმოსახვით ნებისმიერი ტექნოლოგიური პროტოტიპის განხორციელება.

STEM Box-ის ბლოკ სქემური პლატფორმით თანამედროვე ინჟინერიის კომპონენტები გადმოტანილია მოდულებში, რითაც მიღებულია უმარტივესი ბლოკები, რომლებიც ერთმანეთს მაგნიტებით ან კაბელით უერთდება და პროგრამდება Scratch-ის პლატფორმით. ამ გზით, ბავშვებს უკვე შეუძლიათ რამდენიმე დღეში ისეთი სირთულის პროექტების პროტოტიპების შექმნა, რომლებზეც ინჟინრები კვირების განმავლობაში მუშაობენ. STEM Box პლატფორმაში მონაწილეობა შეუძლიათ ბავშვებს 6 წლის ასაკიდან. STEM Box პროექტი ხელს უწყობს ცოდნის გადაცემას მოსწავლეებისათვის, მათ საშუალება აქვთ სწრაფად შეისწავლონ მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია და მათემატიკა. ასაკობრივი სეგმენტის მიხედვით, მოსწავლეებს შეუძლიათ, სწავლა დაიწყონ მარტივი პროექტებით (მოდულებითა და კონსტრუქტორებით), შემდგომში გამოიყენონ ეს მოდულები და განავითარონ დიდი პროექტების პროტოტიპები.

EY
Building a better working world

EY

რეგიონში მცხოვრები გოგონებისთვის უნივერსიტეტში სწავლის დაფინანსება

გენდერული თანასწორობის მიმართულებით, განათლების მიღების უფლების მხარდაჭერა კომპანია „EY“-ს მუშაობის განუყოფელი ნაწილია. გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად, „რეგიონული განვითარების საზოგადოების (RDS)“ სასტიპენდიო ფონდთან თანამშრომლობით, რეგიონებში მცხოვრებ გოგონებს კომპანიამ უნივერსიტეტში სწავლის საფასური სრულად დაუფინანსა.

კამპანია პირველად სარვამარტოდ დაიგეგმა: „EY“-ის თანამშრომელი ქალების საჩუქრებისთვის განკუთვნილი თანხით, გადაწყდა, რომ კომპანიას წარმატებული სტუდენტების ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები მოეხდინა და მათი მხარდაჭერა ტრადიციად იქცა. კომპანიას უკვე 35-ზე მეტი ბენეფიციარი ჰყავს. COVID-19-ის პანდემიის პირობებში, მნიშვნელოვანი, იყო არ შეჩერებულიყო დაფინანსება. ახალ კანდიდატთან ერთად, სტიპენდია გაუგრძელდა წინა წლის ბენეფიციარსაც, რომელსაც ისევ სჭირდებოდა სტიპენდია.

ქალთა გაძლიერების ხელშესაწყობად, კომპანიამ სტუდენტი გოგონებისათვის დაგეგმა კორპორაციული ფინანსების სალექციო კურსი, რომელსაც ესწრებოდა 30-ზე მეტი სტუდენტი სხვადასხვა ქვეყნიდან, ხოლო ლექციებს კითხულობდნენ EY-ის პარტნიორები და მენეჯერები.

H&M

H&M საზაფხულო კამპანიის ვიდეო

2021 წლის საფახულო კამპანიით, კომპანია „H&M“-ს სურდა ხაზი გაესვა ბრენდის ღირებულებების - პროგრესისა და ქალთა გაძლიერებისათვის. კომპანიამ მიზნად დაისახა ცნობიერების ამაღლება და ქალთა მხარდაჭერა. კომპანიას სურდა, საზოგადოებას ესაუბრა ამ პრობლემაზე, ქალების გაძლიერების და მხარდაჭერის მნიშვნელობაზე.

საქართველოში განხორციელებული საზაფხულო პროექტით, კომპანია „H&M“-ს სურდა მომხმარებლებისთვის ეჩვენებინა, რომ კომპანია მხარს უჭერს მრავალფეროვნებასა და თანასწორობის, ასევე ქალებისთვის ეჩვენებინა, რომ ისინი შეიძლება კარგად გამოიყურებოდნენ და იყვნენ თავდაჯერებულნი ნებისმიერ ფორმაში.

„H&M“-მა საზაფხულო კაპანიის ვიდეო სააგენტო Arial Bold-თან თანამშრომლობით გადაიღო. ვიდეოში მონაწილეობდა 3 ერთმანეთისაგან განსხვავებული ქალი, რომლებმაც ისაუბრეს სხვადასხვა თემაზე, მათ შორის, თავდაჯერებულობაზე. სპეციალურ Instagram ჩართვაში კი ქალებმა ისაუბრეს სირთულეებზე, ასევე ისაუბრეს საკუთარი თავისა და სხვა ქალების გაძლიერებაზე.

კომპანია „H&M“-ს სჯერა მიკერძოებისაგან თავისუფალი საზოგადოების, თანაბარი ხმისა და წარმომადგენლობის. კომპანიას სურს, მისი ღირებულებათა ჯაჭვი იყოს ინკლუზიური, ყველას ეპყრობოდნენ თანაბრად და ყველას ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობები.

გენდერული თანასწორობის პრინციპები დანერგილია კომპანიის ღირებულებებში, პოლიტიკასა და დასაქმების გლობალურ სტრატეგიაში. აღსანიშნავია, რომ კომპანიის თანამშრომელთა უმრავლესობა ქალია. კომპანია მათ უსაფრთხო სამუშაო გარემოს, სამუშაო განრიგსა და განვითარების შესაძლებლობებს სთავაზობს.

ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

„ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის“

8 ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა

აგრარული ძალა

ხარისხიანი პროდუქცია - კომბინირებული საკვები

ქარელში მდებარე მცირე ბიზნესი, „აგრარული ძალა“ აწარმოებს გრანულირებულ კომბინირებულ საკვებს. გრანულირებული კომბინირებული საკვების ინოვაციურობა და უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელს ხდის ოპტიმალური ოდენობის ვიტამინების/მიკროელემენტების მოთავსებას მცირე საკვებ რაციონში, რაც ერთი მხრივ, აკეთებს ცხოველისთვის მოხმარებული საკვების ეკონომიას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ცხოველის/ფრინველის უკეთეს წონამატს. გარდა ამისა, გრანულირების პროცესი ხორციელდება ცხელი ორთქლის მეშვეობით, რის შედეგადაც საკვებს პათოგენური ორგანიზმების ოდენობა მნიშვნელოვნად უმცირდება. შესაბამისად ცხოველის ორგანიზმში მავნე ნივთიერებების მოხვედრის რისკი მცირდება, ამრიგად, პროდუქტი უფრო სუფთაა და ცხოველებთა დაავადებების რისკიც მკვეთრად იკლებს. შესაბამისად, კომპანია ფერმერებს უსაფრთხო და ოპტიმალურ პროდუქციას სთავაზობს.

ელემენტ კონსრაქშენი

თანამშრომლობის პოლიტიკა

„ელემენტ კონსტრაქშენისათვის“ პასუხისმგებლობის პრინციპები კომპანიის მიერ შემუშავებულ პოლიტიკასა და მიღებულ გადაწყვეტილებებში გამოიხატება. კონკრეტულად, „ელემენტ კონსტრაქშენი“ იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც გუნდის წევრებს დისტანციური სამუშაო რეჟიმი შესთავაზა, ხოლო 3- თვიანი დისტანციური მუშაობისას ყველა თანამშრომელმა 100%-ით მიიღო სახელფასო ანაზღაურება.

პანდემიის პერიოდში, ელემენტ კონტრაქშენმა არამხოლოდ სრულად შეინარჩუნა გუნდი, არამედ, 2020 წელს კომპანიას 40 ახალი თანამშრომელი შეუერთდა. კომპანიამ თანადაფინანსებით უზურნველყო თანამშრომელთა PCR ტესტირება, ასევე თანამშრომლებს ვაქცინაციაში დახმარება და ორგანიზება შესთავაზა. კომპანიამ მკაცრად დანერგა COVID-19-ის გავრცელების საწინააღმდეგო რეგულაციები.

“ელემენტ კონსტრაქშენის” ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი სისტემების ეფექტური მენეჯმენტი. HSE პროგრამის საფუძველზე, მუდმივად ხორციელდება ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი პროგრამების წარმართვა. „ელემენტ კონსტრაქშენი“ ცდილობს წვლილი შეიტანოს საქართველოში შრომითი უსაფრთხოების მხრივ არსებული ვითარების / სტატისტიკის გაუმჯობესებაში. აღსანიშნავია, რომ შესაბამისი დეპარტამენტი „ელემენტ კონსტრაქშენში“ ჯერ კიდევ 2018 წელს შეიქმნა, როდესაც საკანონმდებლო დონეზე მოთხოვნა ჯერ არ იყო დადგენილი.

კომპანიაში დანერგილია KPI სისტემა, რომელიც თანამშრომლობის ეფექტურობასა და პროდუქტიულობას განსაზღვრავს. თანამშრომლები ყოველწლიურად ავსებენ „კმაყოფილების კითხვარს“, სადაც კომპანიაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან საკითხზე საკუთარ მოსაზრებას აფიქსირებენ. კომპანიისათვის მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის პრინციპები და ამ მიმართულებით არაერთ მნიშვნელოვან სამშენებლო პროექტს ახორციელებენ. სამშენებლო პროცესში ქალთა ჩართულობის მაჩვენებელი კომპანიაში მზარდია.

კომპანია თითოეულ წევრს განვითარების ინდივიდუალურ გეგმას სთავაზობს. 2020-2021 წელს სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა 40-ზე მეტი თანამშრომელი.

„ელემენტ კონსტრაქშენი“ ფლობს ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის სერტიფიკატს ISO 9001:2015

ელემენტ კონსრაქშენი

ბუთქემფი

“ელემენტ კონსტრაქშენს” მიაჩნია, რომ ახალგაზრდებისა და სტარტაპების ხელშეწყობა მეწარმეობის განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სწორედ ამ მიზნით, კომპანიამ „ცოდნის კაფესთან“ თანამშრომლობით, განახორციელა პროექტი „ბუთქემფი“ (Bootcamp). პროექტის ფარგლებში, „ელემენტ კონსტრაქშენი“ 160-ზე მეტ ახალგაზრდა დაეხმარა იდეის განხორციელებაში.

“ცოდნის კაფეს“ ონლაინ „ბუთქემფი“ შეიქმნა ახალგაზრდებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ბიზნესით, მარკეტინგით, ადამიანის უფლებებითა და სამეწარმეო უნარების განვითარებით, ასევე, მათთვის, ვისაც „ცოდნის კაფეს“ მშენებლობაში წვლილის შეტანა სურს. პროგრამაშიმონაწილეობდა 160-ზე მეტი ახალგაზრდა, რომლებმაც 20 სტარტაპერის მენტორობით, 17 დღეში 36.867 ლარი „ცოდნის კაფეს“ ასაშენებლად შეაგროვეს.

პროგრამა სხვადასხვა მიმართულებას მოიცავდა, მათ შორის, სტარტაპების მხარდაჭერა, პროექტში ჩართული ახალგაზრდების განათლების ხელშეწყობა და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება, ახალგაზრდების სამოქალაქო ინიციატივების წახალისება და სოციალური საწარმოების მშენებელობაში დახმარება.

AN-IDEA 2020 დაჯილდოების ცერემონიალი

ეფეს საქართველო

განვითარების ინდივიდუალური გეგმა

„ეფეს საქართველოს“ პრიორიტეტია ღირსეული და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა, ზრუნვა დასაქმებულთა მოტივაციასა და განვითარებაზე, თანასწორი გარემოსა და მუდმივი უკუკავშირით შენარჩუნება. კომპანია ხელმძღვანელობს ბიზნეს ეთიკის კოდექსით, რომელიც დამტკიცებულია Anadolu Efes-ის დირექტორთა საბჭოს მიერ და ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორებიცაა პატიოსნება, ერთიანობა, თანამშრომლობა, თანასწორი გარემო.

კომპანია თითოეულ თანამშრომელს სთავაზობს განვითარების ინდივიდუალურ გეგმას, ასევე უფინანსებს, ტრენინგებსა თუ კურსებს. კომპანია დასაქმებულებს უზრუნველყოფს და უფინანსებს ჯანმრთელობის დაზღვევის სრულ პაკეტს, ასევე ფინანსდება თანამშრომლების კვება და ტრანსპორტირებაც სამუშაო საათებში.

„ეფეს საქართველო“ აფინანსებს თანამშრომლების მონაწილეობას ღონისძიებებში, რომლებიც ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას უკავშირდება. თანამშრომლებს ყოველთვიურად საჩუქრად გადაეცემათ კომპანიის პროდუქცია. ყოველ წელს კომპანიაში იმართება იდეების კონკურსი, სადაც ყველა თანამშრომელს შეუძლია მონაწილეობის მიღება. თანამშრომელთა კეთილდღეობის დონის შემოწმების მიზნით, ყოველწლიურად ტარდება ანონიმური გამოკითხვა. 2020 წლის კმაყოფილების კვლევის მიხედვით თანამშრომელთა კმაყოფილების მაჩვენებელი 93%-ია.

COVID-19 პანდემიის პერიოდში თანამშრომლები გადავიდნენ დისტანციურ რეჟიმზე, ასევე, დაცულია და კონტროლდება COVID-19-თან დაკავშირებული რეგულაციები, ვაქცინაციის წახალისებისთვის კი კომპანია თანამშრომლებს სპეციალურ პირობებს სთავაზობს.

კოდალა

შშმ პირთა რესოციალიზაცია

“კოდალა” აწარმოებს ქართულ კულტურულ მოტივებზე, ხელით შექმნილ სათამაშოებსა და პროდუქციას. „კოდალასთვის“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შშმ პირთა რესოციალიზაცია და ხელს უწყობს მათ საზოგადოებაში ინტეგრაციასა და ღირსეულ დასაქმებას. საწარმოში ინოვაციური მეთოდებით ახალ პროფესიებს ეუფლებიან სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე პირები, მათ შორის, შშმ პირები და სოციალურად დაუცველი ახალგაზრები. საწარმოში დასაქმებულია 25-მდე ადამიანი, აქედან 16 შშმ პირია.

აღსანიშნავია, რომ „კოდალა“-ს შემოსავლების 100%-ის რეინვესტირება ხდება საწარმოში და მიმართულია ახალი სამუშაო ადგილების შექმნისაკენ. 2017 წელს სოციალურ საწარმოთა ალიანსისა და CSRDGE მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ ფორუმზე, კომპანია “კოდალა“ გახდა მთავარი ნომინაციის „წლის სოციალური საწარმოს“ გამარჯვებული და აღიარებული იქნა მაღალი პასუხისმგებლობის მქონე კომპანიად.

თეგეტა მოტორსი

თეგეტა მწვანე ზონა

“თეგეტა მწვანე ზონა” – „თეგეტა მოტორსის“ ვაქცინაციის წამახალისებელი კამპანიაა, რომელიც მიზნად ისახავს კომპანიის თანამშრომლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, COVID-19 საწინააღმდეგო აცრის პროცესის წახალისებას.

„თეგეტა მოტორსი“ თავისი 2500 თანამშრომლის მოტივაციისთვის რამდენიმე მიმართულებით მუშაობს. მსურველებისთვის „თეგეტა“ აორგანიზებს ვაქცინაციას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში - უზრუნველყოფს რეგისტრაციასა და ვაქცინაციის კაბინეტებში ტრანსპორტირებას. ვაქცინაციის მსურველთა რაოდენობის გასაზრდელად, კომპანიის შიგნით აქტიური საინფორმაციო კამპანია მიმდინარეობს - „თეგეტას“ გუნდის წევრებს ყოველდღიურად ეგზავნებათ სანდო წყაროებზე დაყრდნობით მომზადებული ცნობიერების ასამაღლებელი საინფორმაციო მასალები. კვირაში ერთხელ იმართება შეხვედრა პროფესიონალებთან, ექიმებსა და ჯანდაცვის სპეციალისტებთან, რომლებიც „თეგეტელების“ კითხვებს პასუხობენ ვაქცინაციასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. საორგანიზაციო და საინფორმაციო ნაწილის გარდა, ორჯერ აცრილი თანამშრომლებისთვის გათვალისწინებულია წამახალისებელი საჩუქრებიც და გათამაშებებში სოლიდური საჩუქრების მოგების შესაძლებლობა.

ფინანსური ჩართულობის ორგანიზაცია "კრისტალი"

ახალგაზრდების და ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერა საქართველოში" (USAID YES-GEORGIA)

„ახლაგაზრდა მეწარმეთა სკოლის" პროექტით, "კრისტალი" მიზნად ისახავს ახალგაზრდებში შეამციროს უმუშევრობის დონე, შეუქმნას მათ ღირსეული სამუშაო პირობები, დაეხმაროს მათ მეწარმეობის უნარების განვითარებაში, უზრუნველყოს წვდომა ფინანსურ რესურსებთან, ასწავლოს ფინანსების გონივრულად გამოყენება, უზრუნველყოს ფინანსური მხარდაჭერით, რათა დაიწყონ სამეწარმეო საქმიანობა.

„კრისტალმა" 2016 წლიდან დაიწყო „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა" (USAID YES-GEORGIA), რომელიც განკუთვნილია 16-28 წლამდე ახალგაზრდებისთვის. პროექტის დასაწყისიდან 2021 წლის ჩათვლით, „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლაში" მონაწილეობა 4,000-მდე ახალგაზრდამ მიიღო, მათგან 1,041-მა ახალგაზრდამ წარმატებით გაიარა მეწარმეობის ტრენინგ -კურსი, მათ შორის 468 ახალგაზრდამ წარადგინა ბიზნეს პროექტი კომისიის წინაშე (291 გოგო, 177 ბიჭი), ხოლო 89 აპლიკანტი დაფინანსდა „კრისტალის" მიერ (48 გოგო, 41 ბიჭი).

„ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლის" ტრენინგ -კურსი ორ თვიანია და ხორციელდება სწავლების 2 დონეზე. პირველ დონეზე მონაწილეები ეუფლებიან მეწარმეობის ზოგად კურსებს, მეორე დონეზე გადიან მეწარმეობის პრაქტიკულ კურსს, სადაც ახალგაზრდები შეისწავლიან მსოფლიოში წარმატებულ სტარტაპ ქეისებს, მათ გამოწვევებს და მართვის ტექნიკებს. კურსის ბოლოს კი - სწავლობენ ბიზნეს იდეების ბიზნეს პროექტებად გარდაქმნის ტექნიკებს;

მაგნიტი

ყოველდღიური 20%-იანი ფასდაკლება

COVID-19 პანდემიის გავრცელების პარალელურად, ქვეყნის მოსახლეობის მხარდასაჭერად „მაგნიტმა" ერთ-ერთი დიდი ინიციატივა განახორციელა, რომელსაც საზოგადოების დადებითი გამოხმაურება მოჰყვა. პროექტი გულისხმობს ყოველდღიურ 20%-იან ფასდაკლებას - სხვადასხვა დღეს სხვადასხვა კატეგორიის პროდუქტზე.

კამპანიამ განსაკუთრებით მოთხოვნად პროდუქტებზე ფასდაკლებით, მოსახელობისათვის დანაზოგის გაკეთების საშუალება შექმნა. ფასდაკლება მთლიანად კომპანიის მხრიდან ფასდათმობის საფუძველზე ხორციელდება. კამპანია განსაკუთრებით მოთხოვნადია და შედეგად, მომხმარებელთა ინტერესის გათვალისწინებით, პროექტს დროთა განმავლობაში სხვადასხვა კატეგორიის პროდუქტები დაემატა. აღნიშნული კამპანია, 20% ფასდაკლება სხვადასხვა პროდუქტზე კვლავ ყოველდრიურად მიმდინარეობს და ხელმისაწვდომია მომხმარებლებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით.

თიბისი ბანკი

თიბისი ბიზნესისთვის

„თიბისი“ ბანკისთვის მნიშვნელოვანია ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა. ამდენად, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რომლებიც ბანკის მომხმარებლები არიან, „თიბისიმ“ შეიმუშავა შეთავაზებების პროგრამა. პროგრამა მოიცავს საგანმანათლებლო რესურსებს, ბიზნეს ბლოგს, ბიზნესის დახმარების ინსტრუმენტებს, ყოველწლიურ ბიზნეს დაჯილდოებას და სტარტაპების პროგრამას.

Covid-19 პანდემიის გამო, ბიზნესების გაციფრულება პრიორიტეტი გახდა. ამდენად, „თიბისიმ“ მხარი დაუჭირა მომხმარებელებს და განხორციელდა არაერთი პროექტი: VISA-სთან თანამშრომლობით უსასყიდლოდ შეიქმნა 200 ონლაინ მაღაზია, შემცირდა საკომისიო Vendoo პლატფორმის გამოყენებისათვის, სტარტაპებისათვის შეიქმნა საერთო სივრცე - Mystartup.ge, 100 მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოსათვის შეიქმნა მარკეტინგის სტრატეგია.

www.businesstool.ge არის სივრცე - ონლაინ პლატფორმა, რომელიც ქმნის ეკოსისტემას და აკავშირებს ბიზნესსა ტექნოლიგიური პროდუქტებისა და სერვისების მომწოდებლებთან. კომპანიებს შეუძლიათ მოძებნონ, შეადარონ და ამოირჩიონ საკუთარი ბიზნესისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა: კომპიუტერული პროგრამა, მობილური აპლიკაცია ან ვებ-სერვისი.

2020 წლის ნოემბერში შეიქმნა ბიზნეს კლუბი, პლატფორმა, რომელიც კლუბის წევრებისათვის სხვადასხვა უპირატესობებს, ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს და სოციალიზაციისათვის სივრცეს ქმნის. ბიზნეს კლუბის წევრებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ დისკუსიებსა და ტრენინგებში, გააფართოვონ ბიზნეს კონტაქტები. 2020 წლის ბოლოსათვის, კლუბს 860-ზე მეტი წევრი ჰყავდა.

აღნიშნული ინიციატივები ეხმარება ბიზნესებს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, ზრდის სერვისების ხელმისაწვდომობას და სოციალიზაციის შესაძლებლობას, ასევე ხელს უწყობს ცოდნის, ექსპერტიზისა და სათანადო ინფორმაციის გაზიარებას.



თიბისი ბანკი

აპლიკაციების კონკურსი

სტარტაპერის „აპლიკაციების კონკურსის“ პროგრამის მიზანია წაახალისოს საქართველოში მობილური ან ვებ აპლიკაციების შექმნა და გამოყენება. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირსა და მეწარმე სუბიექტს, ვისაც სურთ, თავიანთი აპლიკაციით ბიზნესებს ყოველდღიური საქმიანობა გაუმარტივონ. ამდენად, პროექტის მიზანია, საქართველოში პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით ინოვაციური გადაწყვეტილებების ხელშეყობა. პროგრამას ჰყავს 3 გამარჯვებული საპრიზო ფონდით და ხორციელდება ნიდერლანდების განვითარების ბანკისა და საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მხარდაჭერით.

აპლიკაციების კონკურსი ხელს უწყობს ქვეყანაში ტექნოლოგიების განვითარებას, ბიზნესებისათვის ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების შემოღებას და პროცესების გამარტივებას, ასევე, ცნობიერების ამაღლებას ახალგაზრდა თაობაში და ამ მიმართულებით ბიზნესების მხარდაჭერას. ასევე, კონკურსით “თიბისი“ მხარს უჭერს ახალი ბიზნესების შექმნას, ეხმარება ახალ შექმნილ ბიზნესებს და მეწარმეობის განვითარებას ქვეყანაში. 2020 წელს კონკურსში იდეები წარადგინა 47-მა მონაწილემ, ხოლო 2021 წლის ივლისის მონაცემებით კონკურსში მონაწილეობისთვის 70 მონაწილე იყო დარეგისტრირებული.

თიბისი ბანკი

სტარტაპერი

2017 წლიდან „თიბისი“ ბანკი ახორციელებს პროგრამას „სტარტაპერი“ - ინოვაციური პროგრამა, რომელიც სტარტაპებს სთავაზობს ფინანსურ და არა-ფინანსურ მხარდაჭერასა და საგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამა მოიცავს რამდენიმე მიმართულებას: სესხებს სტარტეპებისთვის და საოპერაციო პროდუქტებს (სტარტაპ რესტორანი, სტარტაპ სესხი, სტარტაპ სასტუმრო სესხი, სტარტაპ აგრო სესხი, სტარტაპ ლიზინგი), საგანმანათლებლო პროგრამები და შესაძლებლობა სტარტაპებისთვის, გაიარონ ტრენინგი, დაესწრონ მასტერკლასებსა და ინდივიდუალურ კონსულტაციებს, ასევე მოიცავს მედია მხარდაჭერას.

პროგრამის ფარგლებში, 2020 წელს, 700-ზე მეტმა სტარტაპმა გაიარა ტრენინგი, ჩატარდა სტარტაპ დისკუსია 200-ზე მეტი მონაწილი, 150 სტარტაპის შესახებ დაიწერა ბლოგები და სტატიები. პროგრამა „სტარტაპერი“ ბიზნესებს განსაკუთრებულ შესაძლებლობას სთავაზობს, განავითარონ საქმიანობა.

პროგრამა მხარს უჭერს სტარტაპ გარემოს, მხარს უჭერს ბიზნესებს, ეკონომიკასა და საზოგადოებას, რომ იყოს უფრო მედეგი, მრავალფეროვანი და ინკლუზიური.



თიბისი ბანკი

ონლაინ მაღაზია 3 დღეში

2020 წლის მარტში, პანდემიის დაწყებისას, „თიბისი“ ბანკმა შექმნა პროექტი „ონლაინ მაღაზია 3 დღეში“. პროექტი მოიცავს პლატფორმას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ვებ-გვერდის შექმნა, „თიბისის“ გადახდების სისტემასთან დაკავშირება, მოიცავს ფოტოგრაფის მომსახურებას. პლატფორმას მალევე დაემატა ონლაინ რესტორნის შეთავაზება. ერთ წელიწადში, გაციფრულდა 200 მაღაზია და 50 რესტორანი. ონლაინ მაღაზიის შექმნით ბიზნესებისათვის გახსნა ახალი არხი გაყიდვებისთვის, მომხმარებლებთან კავშირისა და ახალი მომხმარებლების მოსაზიდად.

VISA-ს მიერ „ონლაინ მაღაზია 3 დღეში“ პროექტი დასახელდა მცირე და საშუალო საწარმოების საუკეთესო პროექტად რეგიონში.

შპს საბა და ლუკა

უსაფრთხოების სისტემის დანერგვა

COVID -19 პანდემიის გავრცელების პირობებში, სავაჭრო ცენტრმა „საბამ“ უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მიიღო და დანერგა უსაფრთხოების სისტემა, რისთვისაც კომპანიამ 450 000 ლარის ოდენობით რესურსი გამოყო. უსაფრთხოების სისტემა გულისხმობს სავაჭრო ცენტრის მთავარ შენობაში სუფთა ჰაერის ნაკადების კონტროლს - კონდიცირებული ჰაერის ფილტრაცია ხდება ულტრაიისფერ სპექტრში, რომელიც უზრუნველყობს ბაქტერიებისა და ვირუსების სრულად განადგურებას. გარდა ამისა, სავაჭრო ცენტრში დანერგილია COVID-19-ის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები (ტემპერატურის რეგულარული შემოწმება, სამედიცინო ნიღბების ტარება და სხვა).

გარდა ამისა, სავაჭრო ცენტრმა პანდემიის განმავლობაში შეღავათები და დახმარება გაუწია კომპანიებს - პანდემიის გამო დახურვის პერიოდში, მოიჯარეები განთავისუფლდნენ იჯარის გადახდისგან, ასევე ახალი კომპანიები, რომლებსაც სურთ ბიზნესის გაფართოება, 3 თვის განმავლობაში თავისუფლდებიან იჯარის გადასახადისგან და იხდიან მხოლოდ კომუნალურ და საბიუჯეტო გადასახადები. პანდემიის პერიოდში კომპანიას არ შეუწყვეტია თანამშრომელთა ანაზღაურება და უზრუნველყოფდა მათ სამსახურში ტრანსპორტირებას.

საქართველოს ბანკი

BUSINESSCOURSE.GE

„საქართველოს ბანკმა“ მცირე და საშალო ბიზნეს კლიენტებისთვის შექმნა ბიზნეს კურსის პროგრამა businesscourse.ge, რომელიც ბიზნესის განვითარებასა და ხელშეწყობას, ასევე ბიზნესგანათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას ემსახურება. მოგვიანებით, პლატფორმა მთლიანი ბიზნესა უდიტორიისთვის გახდა ხელმისაწვდომი, შესაბამისად, ბიზნესით დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია სრულიად უფასოდ გაიაროს ნებისმიერი კურსი.

ბიზნესკურსი არის შემეცნებით-საგანმანათლებლო, ხელმისაწვდომი პლატფორმა ბიზნესის დამფუძნებლებისა და მენეჯერებისათვის, მოიცავს პრაქტიკულ ინფორმაციას კონკრეტული ამოცანის ამოსახსნელად. შესაბამისად მარტივად, სწრაფად და გასაგებად, სანდო ექსპერტისგან ბიზნესსაზოგადოება იღებს მისთვის საჭირო ინფორმაციას.

თითოეული კურსი შედგება 5-7 წუთიანი ვიდეოებისგან, რომელთაგან თითოეული ერთ კონკრეტულ საკითხს ფარავს. პლატფორმაზე ასევე ხელმისაწვდომია დამატებითი მასალები და სასარგებლო ბმულები. ამჟამად ბიზნესკურსის პლატფორმაზე განთავსებულია 11 ბიზნესკურსი 4 მიმართულებით (მათ შორის, ფინანსური, საოპერაციო და მარკეტინგის მიმართულებები).

ბისნესკურსით დაინტერესებულ მომხმარებელთა რაოდენობა 10 000-ს, დასრულებული კურსების რაოდენობა კი 2000-ს აღემატება.

საქართველოს ბანკი

სოციალური საწარმოების მხარდაჭერა

2017 წლიდან საქართველოს ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტი სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა, სფეროს შესახებ ცნობიერების ამაღლებაა, რისთვისაც დააარსა სოციალური საწარმოების საგრანტო კონკურსი. კონკურსის ფარგლებში ყოველწლიურად 5 სოციალური საწარმო იღებს დაფინანსებას 50 000 ლარის ოდენობით. საგრანტო კონკურსის ფარგლებში ფინანსდება სოციალური საწარმოს ის პროექტი, რომელსაც ორმაგი მიზანი აქვს – ეკონომიკური და სოციალური.

კონკურსის ღია წესით ტარდება და ნებისმიერ მსურველს შეუძლია წარმოადგინოს მდგრადი, ძლიერი სოციალური მისიისა და გამართული ბიზნესგეგმის მქონე პროექტი.

სოციალური საწარმოს იდეა უნდა იყოს მდგრადი და დაფინანსების სახით მიღებული თანხის ათვისების შემდგომ უნდა შეძლოს დამოუკიდებლად ფუნქციონირება და განვითარება.

დღეისთვის „საქართველოს ბანკის“ საგრანტო კონკურსის ფარგლებში მიღებული გრანტის შედეგად ფუნქციონირებს 15 სოციალური საწარმო. 2021 წელს „საქართველოს ბანკის“ მიერ ფინანსდება დამატებით 3 სოციალური საწარმო. ამასთან, აქტიურად მიმდინარეობს არსებული სოციალური საწარმოების მხარდაჭერა, კონსულტაცია და მათ შესახებ ცნობადობის ამაღლების კამპანიები. „საქართველოს ბანკის“ მიერ დაფინანსებული სოციალური საწარმოები სხვადასხვა სოციალურ პრობლემის მოგვარებას ემსახურება.

სოციალური საწარმოების გაძლიერებისათვის „საქართველოს ბანკი“ დამატებით ყოველწლიურად აფინანსებს სოციალური მეაწარმეობის ფორუმს, აჯილდოებს წლის სოციალურ საწარმოს, კონსულტაციას უწევს სოციალურ საწარმოებს, სოციალურ მეწარმეებს რთავს მნიშვნელოვან და მათთვის საჭირო ტრენინგებსა და ვებინარებში.

ტერმინალი

საერთო სამუშაო სივრცეები

საქართველოში პირველად საერთო სამუშაო სივრცეების მიმართულება "ტერმინალმა" შექმნა. კომპანია ამ მიმართულებით სწრაფად მზარდია - 4 წელში გახსნა „ტერმინალის" 5 ფილიალი. „ტერმინალი" მოიცავს სრულად აღჭურვილ 800 ინდივიდუალურ სამუშაო სივრცეს, 52 ოფისით, ინტერნეტით, 24/7 ხელმისაწვდომობით, 28 შეხვედრებისა და საკონფერენციო ოთახებით. მყუდრო სამუშაო გარემოს ქმნის სამუშაო სივრცეების დიზაინი.

„ტერმინალის" ხედვაა მეტი საერთო სივრცის - ბიზნესის, სტარტაპებისა და კერძო პირებისათვის სამუშაო პლატფორმის - შექმნა, რაც მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობას ქმნის. გარდა ამისა, კომპანიას სჯერა, რომ „ტერმინალი" საზოგადოებისათვის სოციალურ როლსაც ასრულებს - ერთიანებს სხვადასხვა ადამიანს, ქმნის გამოცდილების, ცოდნისა და მოტივაციის გაზიარების შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ „ტერმინალი" ქართული ბრენდია, ის ბაზარზე ფუნქციონირებს ევროპული სტანდატებით და კონკურენციას უწევს მსოფლიოს უდიდეს ბრენდებს ამ მიმართულებით. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 2020 წელს ტერმინალი გახდა „EuroAsian Startup Awards" გამარჯვებული საუკეთესო საერთო სამუშაო სივრცეების (co-working სივრცეების) კატეგორიაში.

GEC | Systemic Business Consulting

სადაც სამსახური თავისუფლებას ნიშნავს

„GEC"-ს მთავარ ღირებულებას კომპანიის გუნდი, კომპანიაში დასაქმებული ადამიანები წარმოადგენენ. კომპანია ინარჩუნებს სამუშაო გარემოს, რომელიც დაფუძნებულია თანამშრომლის პირად თავისუფლებაზე, ინდივიდუალიზმზე, პროფესიულ განვითარებასა და გუნდურ მუშაობაზე. 2010 წლიდან კომპანიის თანამშრომლები თავად განსაზღვრავენ სამუშაო ადგილსა და გრაფიკს. „GEC" ქმნის თანასწორ კარიერულ შესაძლებლობებს ყველასთვის და თანამშრომლებს სთავაზობს კონკურენტულ ანაზღაურებას და დამატებით უპირატესობებს.

კომპანიაში გუნდის პროფესიული ზრდა და განვითარება ერთ-ერთი პრიორიტეტია. გუნდის თითოეული წევრისთვის შემუშავებულია პერსონალური განვითარების გეგმა, რომლის განხორციელებასაც „GEC" სრულად უზრუნველყოფს. ასევე, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გუნდის წევრებს შეუძლიათ სასურველი სასერტიფიკატო პროგრამის ან ტრენინგის არჩევა, რომლის საფასურს კომპანია სრულად დაფარავს. პანდემიის დროს კომპანიამ სრულად შეინარჩუნა თანამშრომლები, 20%-ით გაუზარდა მათ ანაზღაურება და 30%-ით გაზარდა დასაქმებულების რაოდენობა.

თავისუფალი სამუშაო გარემოსა და პროფესიული განვითარების ხელშწყობის შედეგად, კომპანიას ჰყავს მოტივირებული და ერთგული გუნდი, რომელიც ჩართულია კომპანიასთან დაკავშირებულ ყველა პროცესში და 2010 წლიდან კომპანიის მუდმივ ზრდას უწყობს ხელს.

UDABNO

უდაბნო

ქართული პროდუქტის წარმოება

„უდაბნოს“ საქმიანობა რამდენიმე მიმართულებას მოიცავს - სტუმარმასპინძლობა, განვითარება და სოფლის მეურნეობა. 2017 წლიდან „უდაბნომ“ გააშენა ნუშის ბაღები (2000 ჰა, 675 000-ზე მეტი ნუშის ხე), კენკრასა და ვენახთან ერთად. ამასთან, უდაბნოს აქვს 25 კმ-იანი სარწყავი არხი, ირიგაციის სისტემა, რაც უზრუნველყოფს, რომ წყლის რესურსები ეფექტიანადა იქნას გამოყენებული. ამდენად, „უდაბნო“ საკვების მდგრადი წარმოების სისტემისა და სოფლის მეურნეობის მედეგი პრაქტიკის დანერგვის მიმართულებით მოწინავეა.

გარდა ამისა, „უდაბნოსთვის“ მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის მიმართულება, იყენებს სხვადასხვა ტექნოლოგიას და ატარებს ზომებს, რომ უარყოფითი ზეგავლენა გარემოზე მინიმუმამდე შემცირდეს. ასევე ნარჩენების მართვის სისტემა და რესურსების ეფექტიანი გამოყენება კომპანიის მნიშვნელოვანი მიმართულებებია. „უდაბნო“ ახორციელებს მდგრად („მწვანე“) შესყიდვებს.

კომპანიის ერთ-ერთი პრიორიტეტი ნარჩენების მინიმუმამდე შემცირებაა, რისთვისაც, დღეისათვის ნუშის ნარჩენები გამოიყენება ცხოველთა საკვებად. ხოლო სამომავლოდ, „უდაბნო“ გეგმავს ისეთი ტექნოლოგიების დანერგვას, რომლითაც ნარჩენების გამოყენების და გადამუშავების შესაძლებლობა იქნება.

„უდაბნო“ მიზნად ისახავს, შეინარჩუნოს სოფლის მეურნეობის ტრადიციები, ამავე დროს, დანერგოს უახლესი ტექნოლოგიები და ფერმერული ტექნიკები რეგიონში. ამ პროცესში, მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის, მუდმივი და სეზონური თანამშრომლების (470 ადამიანი) გადამზადება და ტრენინგები.

ჯიპიაი

ვენის სადაზღვევო ჯგუფი

დარჩი სახლში, ჩვენ დაგაზღვევთ!

ჯიპიაი

COVID-19-ის საორგანიზაციო ჯგუფი

“ჯიპიაი ჰოლდინგისათვის” თანამშრომელთა ჯანმრთელობა და უსაფრთხოება მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით, COVID-19 პანდემიის პირობებში. პანდემიის დასაწყისიდან, კომპანიაში შეიქმნა COVID-19-ის საორგანიზაციო ჯგუფი, რომელიც პანდემიასთან დაკავშირებულ საკითხებს მართავდა, ხოლო თანამშრომლებს შეეძლოთ დაკავშირებოდნენ მათ COVID-19-თან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხით.

გარდა ამისა, კომპანიის მენეჯმენტისათვის პრიორიტეტი იყო ყველა თანამშრომლის შენარჩუნება, ასევე სამუშაო პროგრამებზე წვდომის უზრუნველყოფა თითოეული თანამშრომლისთვის დისტანციური მუშაობის პირობებში. შემუშავდა დისტანციური მუშაობის სამოქმედო გეგმა და შიდა საკომუნიკაციო სტრატეგია. 16 მარტიდან დღემდე კომპანიის ყველა თანამშრომელი დისტანციურად მუშაობს, კომპანიამ მოახერხა მათი ჯანმრთელობის დაცვა და პირველი ტალღის დროს არცერთი თანამშრომელი არ დაინფიცირებულა, ამასთან, ყველა თანამშრომელმა შეინარჩუნა სამსახური.

კომპანიას ყოველდღიური კომუნიკაცია ჰქონდა ყველა თანამშრომელთან კომპანიაში მიმდინარე სიახლეების, მათი საჭიროებების შესახებ და ყველა პროცესი კომპანიაში შეუფერხებლად მიმდინარეობდა. გამომდინარე თანამშრომელთა მოსაზრებიდან, კომანიამ მუშაობის ახლებურ სტილზე ე.წ ჰიბრიდული მართვის მოდელზე გადაწყვიტა - თანამშრომელთა 70%-ზე მეტი მუდმივად სახლიდან იმუშავებს, ეს მოდელი გულისხმობს მენეჯმენტის სრულიად ახალი მიდგომებისა და სტანდარტების დამკვიდრებას, ახალი მმართველობითი სისტემების შექმნას.

ემბისი

თანამშრომელთა გაძლიერება და ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნა COVID 19-ის პერიოდში

COVID-19 პანდემიის დაწყებისთანავე, კომპანიის მთავარ პრიორიტეტად თანამშრომელთა უსაფრთხოება და მათთვის შესაბამისი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა გამოიკვეთა - განისაზღვრა შესაბამისი სამუშაო გრაფიკი (პირველ რიგში, დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავიდნენ რისკ-ჯგუფის თანამშრომლები). კომპანიამ ფილიალები უმოკლეს ვადაში აღჭურვა ვირუსისაგან დამცავი შესაბამისი საშუალებებით, ელექტრონული და დისტანციური საშუალებებით შეიცვალა მომსახურების და პროდუქტების მიწოდების გზები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეზღუდვის დროს კომპანია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფდა თანამშრომელთა ტრანსპორტირებას, ასევე თანამშრომლებისა და მომხმარებლების ცნობიერების ამაღლებას ვირუსის გავრცელების შესახებ. კომპანიაში დაგეგმილი შეხვედრები, ტრენინგები, საგანმანათლებლო ღონისძიებები და რეკრუტინგის პროცესი დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა, თანამშრომელთათვის ჩატარდა ტრენინგები და ვორქშოფები.

2020 წელს დაიგეგმა და ონლაინ რეჟიმში განხორციელდა კამპანია „ჩვენ, ემბისელები“, რომელიც მიზნად ისახავდა თითოეულ თანამშრომელთან საკონსულტაციო შეხვედრების გამართვას, გამოწვევებთან საერთო ძალებით გამკლავების შესახებ მსჯელობას, გუნდურობის ამაღლებას, თანამშრომელთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას და გადაწყვეტილებებში მათი ჩართულობის უზრუნველყოფას. გარდა ამისა, შეიქმნა პროექტი „სიკეთე გადამდებია“, რომელიც მიზნად ისახავდა მოწყვლადი და პანდემიის შედეგად განსაკუთრებით დაზარალებული ჯგუფებისადმი დახმარებას.

VIP SECRETARY

ღირსეული სამუშაო გარემო და ძლიერი ბიზნესი

VIP Secretary ორიენტირებულია დამწყებ ბიზნესებზე და ეხმარება მათ, როგორც დოკუმენტების, ისე ბუღალტერიასა და ფინანსური ანგარიშგების მიმართულებით. სამუშაო პროცესში კომპანია იყენებს ელექტრონულ რესურსებს - საქაღალდეებს, რითაც ამცირებს ქაღალდის გამოყენებას.

ამასთან, კომპანიას ჩამოყალიბებული აქვს საერთო ოპერაციული მიდგომები, ხელს უწყობს თანამშრომელთა პროფესიულ ზრდასა და განვითარებას. თანაშემწეები გადიან ACCA-სა და IFRS სერტიფიცირების კურსებს, მენეჯმენტის კურსს და სხვადასხვა მიმართულებით შემუშავებული ახალი რეგულაციები მუდმივად ინერგება კომპანიის საქმიანობაში. კომპანიას ასევე ჩამოყალიბებული აქვს შიდა კორპორაციული კულტურა და შინაგანაწესი.

კომპანიას ჩამოყალიბებული აქვს განსხვავებული, მოქნილი სამუშაო გრაფიკი 10:00-დან 16:00 საათამდე, ხოლო კვირაში ერთ დღე ეთმობა თანამშრომლის სწავლასა და დასვენება- განვითარებას. ამდენად, კომპანიისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტი ღირსეული სამუშაო გარემოს შექმნაა.

მდგრადი ქალაქები და დასახლებები

„ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის“



BIM³

კვლევის ჩატარება

სამშენებლო სფეროში, საქართველოში სტანდარტული წესით განხორციელებული სახელმწიფო და კერძო შესყიდვების მიმართულებით კვლევით, კომპანია BIM³ გეგმავს, დაადგინოს, თუ რა შედეგები ექნებოდა აღნიშნული პროცესების სრულ BIM ტექნოლოგიით განხორციელებას. კვლევით შესაძლებელი იქნება, გამოვლინდეს BIM ტექნოლოგიის წილი სამშენებლო პროცესების ეფექტურობის გაზრდის მიმართულებით, მოხდეს სამშენებლო სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და სწორი სტრატეგიების დაგეგმვა BIM ტექნოლოგიის გამოყენებით.

BIM (Building Information Modelling) ტექნოლოგია წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც სტრუქტურულად წარიმართება მონაცემებისა და დოკუმენტაციის განსაზღვრა, შექმნა და მიმოცვლა. პროექტში ჩართული მხარეებისთვის ნებისმიერი ინფორმაცია ხელმისაწვდომია საჭირო დროს.

სამშენებლო ინდუსტრია გლობალურად ეძებს გზებს, რათა შეიმუშაოს სწორი მიდგომები და სამშენებლო პროცესი წარმართოს მაქსიმალურად ეფექტურად და შექმნას სტაბილური და მდგრადი სივრცეები, შეამციროს ნარჩენები, განახორციელოს ნარჩენების მართვა, ხელი შეუწყოს დასაქმებას და ა.შ. BIM ტექნოლოგია საშუალებას ქმნის, პროექტირების პროცესში ჩართულმა მხარეებმა იმუშაონ ერთმანეთის პარალელურად და მოიძიონ ინფორმაცია სხვადასხვა პროცესებისა და ტექნიკური მახასიათებლების შესახებ, დაგეგმონ მშენებლობა და ფინანსები სწორად და ხელი შეუწყონ მდგრად განვითარებას.

კვლევის ჩატარების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქართველოს სამშენებლო ბაზრის საჭიროებების დადგენა და BIM ტექნოლოგიის დანერგვის ხელის შეწყობა კერძო და საჯარო სექტორის მაქსიმალური ჩართულობით.

APM TERMINALS
Lifting Global Trade

ეიპიეემ ტერმინალს ფოთი

ეიპიეემ ტერმინალსი ფოთისთვის

„ეიპიეემ ტერმინალს ფოთმა," ადგილობრივი მეწარმეობის მხარდასაჭერად, დაიწყო მცირე ბიზნესის წახალისებისა და ხელშეწყობის პროგრამა "ეიპიეემ ტერმინალსი ფოთისთვის" (APMTerminals4Poti), რითაც ადგილობრივ მოსახლეობასთან კომპანიის ურთიერთობა თვისობრივად ახალ, თანამშრომლობის ფორმატში გადავიდა. APMTerminals4Poti-ის ფარგლებში, მეწარმეებს შესაძლებლობა აქვთ, კონკურსის წესით მოიპოვონ მიზნობრივი დაფინანსება და პროგრამის ფარგლებში, ტრენინგების მეშვეობით გაიუმჯობესონ მეწარმეობისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

პროგრამით გათვალისწინებულია 80-ზე მეტი მცირე ბიზნეს პროექტის დაფინანსება, რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნასთან ერთად, ფოთის მოსახლეობას გაუმარტივებს წვდომას სასურველ პროდუქტებსა თუ მომსახურებაზე. პროექტის ამ ეტაპზე უკვე დაფინანსებულია 34 ბიზნეს იდეა. თითოეულ პროექტისათვის მაქსიმალური მიზნობრივი ბიუჯეტი 4,000 ლარია (მოსარგებლეების თანამონაწილეობით, მოთხოვნილი ბიუჯეტის 20%) პროგრამის ჯამური ბიუჯეტი კი 800,000 ლარს შეადგენს.

წარმოდგენილი ბიზნეს იდეის სფერო არ არის შეზღუდული, თუმცა, სასურველია მოიცავდეს ადგილობრივი რეალობისთვის ახალი, ინოვაციური პროდუქტის ან მომსახურების უზრუნველყოფას, აუცილებელია, რომ იყოს მდგრადი სოციალური და ეკონომიკური შედეგის მომტანი და ხორციელდებოდეს ქალაქ ფოთში. რამდენადაც „ეიპიეემ ტერმინალს ფოთი" ქალთა გაძლიერების პრინციპების ხელმომწერი კომპანიაა, პროგრამის პრიორიტეტია ეკონომიკურ საქმიანობაში მეტი ქალის ჩართვა; გარდა ამისა, ახალგაზრდობისა და მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მხარდაჭერა შეუქცევადად წარმოადგენს კომპანიის უმთავრეს ამოცანას. ამრიგად, მიზნობრივი დაფინანსების ბიუჯეტის 40% მიმართული იქნება სწორედ ქალების, ახალგაზრდებისა და იძულებით გადაადგილებული პირების დაფინანსებაზე.

მაგნიტი

ქსელის რეგიონში განვითარება

„მაგნიტი" პირველი კომპანიაა, რომელმაც ძირითადი აქცენტი ქსელის რეგიონში განვითარებაზე გააკეთა და რეგიონების დაფარვის შემდგომ, მოგვიანებით გააძლიერა ქსელი დედაქალაქში. დღეისთვის, „მაგნიტი" 276 ფილიალს ფლობს და წლის ბოლომდე, საქართველოს მასშტაბით, ჯამში 300 ფილიალით იქნება წარმოდგენილი.

"მაგნიტი" აღიარებულია ერთ-ერთ ყველაზე მზარდ ქსელად და კომპანიის მისია „რეგიონში ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და მეტი აქტიურობის შეტანაა". „მაგნიტი" წარმოდგენილია თითქმის ყველა მჭიდროდ დასახლებულ პუნქტში, ქალაქსა თუ რაიონში, სოფლებშიც კი, იქ სადაც ბაზრის სხვა მოთამაშეებს ჯერ არ შეუღწევიათ. „მაგნიტი" საქართველოს რეგიონებში მიზიდულობის ცენტრს ქმნის, სადაც პროდუქციის შეძენის თანამედროვე სტანდარტებია დანერგილი. ფილიალები რაოდენობების მიხედვით რეგიონებში შემდეგნაირადაა გადანაწილებული: თბილისი 59, იმერეთი 45, სამეგრელო 38, შიდა ქართლი 30, კახეთი 28, ქვემო ქართლი 25, მცხეთა-მთიანეთი 21, აჭარა 19, გურია 7, სამცხე-ჯავახეთი 3, რაჭა 1



ნადიკვარი 96

SOLAR PANELS APARTMENTS

კომპანია „ნადიკვარი 96“-ის პროექტი გათვლილია BREEAM სერტიფიკატის თანახმად, რაც ნიშნავს ევროპის ყველაზე მაღალი სტანდარტის სერტიფიკატს სამშენებლო „მწვანე ეკონომიკის“ მიმართულებით. პროექტის ფარგლებში, ბინები აღჭურვილი იქნება მზის პანელებით - ამდენად, მობინადრეებს აღარ მოუწევთ ელექტროენერგიისა ყიდვა და გამოიყენებენ მზის ენერგიას. ხოლო საბაზისო პაკეტი მოიცავს: უფასო ელექტრო მომარაგება, უფასო ლიფტი, ელექტრო ავტომობილის დამუხტვის წეტილი, უფასო დაცვის სერვისი.

პროექტი მიზნად ისახავს, მობინადრეებისათვის ორი პრობლემა გადაჭრას: შეამციროს კომუნალური გადასახადი და მომხმარებლები ჩართოს „ნეტო აღრიცხვაში“ და მეორე მხრივ, უზრუნველყოს ხმის იზოლაცია. კომპანია მშენებლობისას იყენებს ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სამშენებლო მასალას, რაც უზრუნველყოფს ბგერისა და თბო რეგულაციას.

პროექტი მოიცავს ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და „ჭკვიანი სახლის“ / „ჭკვიანი კორპუსის“ ელემენტებს. ამდენად, მისი ინოვაციური შინაარსიდან გამომდინარე, პროექტი არის უნიკალური, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიაში. მშენებლობა დასრულდება 2022 წლის ოქტომბერში.

AIONRISE

Generate | Store | Utilise

AIONRISE

წარმოება ქუთაისში

კომპანიის „AIONRISE” სრულად აღჭურვილი ქარხანა განთავსებულია 10,000 კვადრატულ კილომეტრზე. წარმოების შესაძლებლობების სრულად გამოყენების შემთხვევაში კი შექმნის 300-ზე მეტ სამუშაო ადგილს და სხვადასხვა შესაძლებლობას ლოჯისტიკის, მიწოდების ჯაჭვისა და სხვა მიმართულებით.

კომპანია მუშაობს განახლებადი ენერგიის მიმართულებით და აწარმოებს მზის პანელებს (Photovoltaic Modules). კომპანიის მიერ წარმოებული მზის პანელები (PV) შეესაბამება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს. რეგულარულად ხორციელდება წარმოებული პროდუქციის ხარისხის კონტროლი დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოს მიერ, რაც უზრუნველყოფს პროდუქციის უსაფრთხოების მაღალ ხარისხს, გამძლეობასა და ხარისხს გრძელვადიანი მუშაობის პერსპექტივაში. კომპანიას აქვს ფართო ქსელი და პროდუქციის მიწოდება ხდება სხვადასხვა ქვეყანაში.

მზის ენერგია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სათბურის აირების ემისიის შემცირებას, მათ შორის, მნიშნელოვანი PV ტექნოლოგიის განვითარება და ფართომასშტაბიანი წარმოება, რასაც ახორციელებს კომპანია AIONRISE.

მდგრადი მოხმარება და წარმოება

„ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის“

12 მდგრადი მოხმარება და წარმოება

ADJARA GROUP HOLDING

აჭარა ჯგუფი

ATELIER X THE SHOP SUSTAINABILITY

„Atelier x TheShop Sustainability“ არის აჭარა ჯგუფის პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს წარმოების პროცესში ნარჩენების შემცირებას, ასევე მხარს უჭერს გარემოს დაცვის ღონისძიებებს, ადგილობრივ კულტურასა და ადგილობრივად წარმოებულ პროდუქციას.

აჭარა ჯგუფის სამკერვალოში კომპანიის დაწესებულებებისთვის განკუთვნილი პროდუქცია იკერება, მორჩენილი ქსოვილებისგან დამზადებული ადგილობრივი პროდუქცია კი იყიდება აჭარა ჯგუფის მაღაზიაში - The Shop. The Shop აჭარა ჯგუფის სასტუმროებში ფუნქციონირებს. ამდენად, მდგრადი წყაროებითა და წარმოებით დამზადებული პროდუქციის მხარდაჭერა და ხელშწყობა ხდება.

TheShop-ში ასევე წარმოდგენილია მეორადი ჭურჭელი, რომელიც ხარვეზის გამო აღარ გამოიყენება აჭარა ჯგუფის რესტორნებში, თუმცა მისი საყოფაცხოვრებო დონეზე მოხმარება შესაძლებელია. დაზიანებულ ალუმინის ჭიქებსა და თასებში კი სასტუმროების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები ირგვება და შემდეგ TheShop-ში იყიდება.

პროგრამა The Atelier x TheShop Sustainability წარმატებულია კომერციული თვალსაზრისითაც და გარემოს დაცვის მიმართულებითაც, ადასტურებს, რომ ამგვარი პრაქტიკა ბაზარზე მოთხოვნადია, ხოლო მდგრადი წყაროები და წარმოება დანახარჯებს ამცირებს. პროგრამა „აჭარა ჯგუფის“ ცირკულარული ეკონომიკის პრინციპებთან სრულ თანხვედრაშია.

EFES GEORGIA

ეფეს საქართველო

ენერგიისა და რესურსების მდგრადი მოხმარება

კომპანია ეფეს საქართველო“ საქმიანობას ახორციელებს რეგულაციების და კანონმდებლობის მკაცრად დაცვით და გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფით. კომპანიას პოლიტიკის დონეზე აქვს გაწერილი ნარჩენების მართვა, წყლის, ენერგო, ბუნებრივი აირის თუ სხვა რესურსების ეფექტური მოხმარება/დაზოგვა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა, შესყიდვისას - ყველაზე ენერგოეფექტური დანადგარების შესყიდვა. ფლობს ISO 50001 სერტიფიკტს. „ეფეს საქართველოში“ მავნე ზემოქმედების შემცირებისათვის დანერგილია სხვადასხვა პროცესი და პროცედურა ენერგიისა და წყლის გამოყენების მართვის, გარემოს დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

2012 წელს „ეფეს საქართველომ“ ექსპლუატაციაში ჩაუშვა ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა, გასუფთავებული წყალი გამოიყენება კომპანიის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ნაწილის მოსარწყავად. 2021 წელს „ეფეს საქართველომ განახორციელა ახალი პროექტები - დამონტაჟდა შესაბამისი აღჭურვილობა, რისი დახმარებითაც შემცირდა ელექტრო ენერგიისა და ბუნებრივი აირის მოხმარება.

კომპანიისათვის გარემოს დაცვის შესახებ ცნობიერების ამაღლება ასევე მნიშვნელოვანია. გარემოს დაცვის დღის აღსანიშნად, „ეფეს საქართველომ“ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაცია “ეკოხედვასთან” ერთად ლუდსახარშის მიმდებარე ტერიტორიაზე ხეების დარგვის ღონისძიება ჩაატარა.

BUY SELL GARAGE

თრეველ გაიდი

მდგრადი მოდის პლატფორმა „გარაჟი“

„გარაჟი“ სოციალურ ქსელში არსებული ჯგუფია, რომელიც მდგრადი მოდის პლატფორმას წარმოადგენს. ჯგუფშია ვირტუალური მაღაზია, სადაც მომხმარებელებს შეუძლიათ გაყიდონ და შეიძინონ, როგორც ახალი, ისე მეორეული ტანსაცმელი, შესძინონ ტანსაცმელს „მეორე“ სიცოცხლე „გარაჟულ“ ფასად.

ყოველდღიურად, ჯგუფს 30 000-მდე აქტიური მომხმარებელი ჰყავს, 1000-მდე ქალი აწარმოებს მცირე ბიზნესს. „გარაჟი“ ხელს უწყობს მდგრადი მოდის განვითარებას - ამგვარად შეძენილი ტანსაცმელი 40%-70%-ით უფრო იაფია და ასევე, განსხვავებულ სტილს ქმნის. ჯგუფს მართავს კომპანიის გუნდი და მომხმარებლებს სთავაზობენ სპეციალურ შეთავაზებებს, რომ უფრო სწრაფად და მარტივად გაყიდონ პროდუქცია.

კაია

ქართული წარმოება მძიმე მრეწველობაში

კომპანია „კაია“ ცდილობს წვლილი შეიტანოს ქართული მძიმე მრეწველობის განვითარებაში - შეძენილი დანადგარებით კომპანიამ დაიწყო საკაბელო არხების, სხვადასხვა სახის ლითონის კარადების, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ლითონის და ძალოვანი თაროების წარმოება. აღნიშნული პროდუქცია ფართოდ გამოიყენება, როგორც სამშენებლო ასევე საყოფაცხოვრებო მიმართულებით.

ახალი საწარმოო ხაზის ამუშავებით სამრეწველო ბაზარზე გაჩნდა „კაია“-ს ბრენდის სხვადასხვა სახის პროდუქცია, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, კონკურენციას უწევს იმპორტირებულ პროდუქციას, როგორც ხარისხით ასევე ფასით. კომპანიის მიზანია, აღნიშნული ბაზრისთვის მაღალი ხარისხის ქართული პროდუქციის მიწოდება, რომელიც შეძლებს მომხმარებლისთვის ჩაანაცვლოს მისი იმპორტირებული ანალოგები.

კრისტალი

მწვანე დაფინანსება

კრისტალის „მწვანე დაფინანსება“ გულისხმობს მომხმარებლებისათვის „მწვანე“ ალტერნატივების შეთავაზებას და ეკო-მეგობრული, გარემოსთვის ნაკლებ საზიანო პროდუქტების დაფინანსების ხელშეწყობას. კრისტალის მიზანია, მომხმარებლებსა და თანამშრომლებს მიაწოდოს ინფორმაცია ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების უპირატესობის შესახებ, აამაღლოს ცნობიერება ამ მიმართულებით.

„მწვანე დაფინანსების“ ფარგლებში ფინანსდება შემდეგი მწვანე ალტერნატივები: ენერგოეფექტური საყოფაცხოვრებო ტექნიკა; ეკო-მეგობრული სამშენებლო მასალები; განახლებადი ენერგოტექნოლოგიები (მზის წყლის გამაცხელებელი; მზის პანელები); ენერგო ეფექტური გათბობის საშუალებები; ჰიბრიდული და ელექტრო ავტომანქანები, ასევე CNG სისტემები (გაზის აპარატურის მოხმარება); სარწყავი სისტემები.

გარდა ამისა, 2020 წლიდან ხორციელდება საინფორმაციო კამპანია „მწვანე სახლი“ - განსხვავებული საკომუნიკაციო პროდუქტები, როგორიცაა: VR (ვირტუალური რეალობის) ვიდეო, ანიმაციური ვიდეო, საინფორმაციო ბროშურები და სხვა, გვიყვება კონკრეტული ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის პროდუქტის სარგებლიანობაზე, შესაძლო თანხობრივი დანაზოგების მიღებაზე და გარემოს მიმართ მზრუნველობაზე.

„მწვანე დაფინანსებით“ კრისტალი, ასევე ცდილობს ხელი შეუწყოს ადგილობრივ ბაზარზე ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის პროდუქტების მწარმოებლებს; იძიებს და აფართოებს შესაბამისი მომწოდებლების ქსელს. კომპანიის მიზანია, გამონაბოლქვისა და გარემოზე უარყოფითი გავლენის შემცირება, ასევე თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება ნარჩენების შემცირების, გადამუშავების, აღდგენისა და გარემოს დაცვის შესახებ.

ლიდერი

სამკერვალო ნარჩენის ხელმეორედ გამოყენება

სოციალური საწარმო „ლიდერი“ ერთ-ერთი პირველია რეგიონში, რომელმაც 2019 წლის ბოლოს დაიწყო სამკერვალო ნარჩენის ხელმეორედ გამოყენება,რაც გულისხმობს სამკერვალო ქსოვილის მონარჩენის დახარისხებას და გადამუშავებას ნულოვან ნარჩენებამდე, ასევე ნაჭრის ტომრების შეკერვას პოლიეთილენის პარკების გამოყენების შემცირების მიზნით.

ერთი წელია, რაც კომპანიამ დაიწყო ახალი საწარმოო ხაზი - საბავშვო სამოსის წარმოება, სადაც ეფექტიანად ხდება ნარჩენების გამოყენება. გარდა ამისა, კომპანიამ დაიწყო კამპანია „გავუფრთხილდეთ დედამიწას“ და საბავშვო სამოსზე დაიტანა შესაბამისი გამოსახულება ნაქარგის სახით.

კომპანიამ შეიმუშავა გადამუშავებული ნარჩენის წარმოების სტრატეგია, შეიძინა ქსოვილის დასაქუცმაცებელი დანადგარი, რითაც შეესაბამება ნულოვანი ნარჩენის პოლიტიკას. გარდა ამისა, 2020 წლიდან საწარმო გამოცდილებას უზიარებს საწარმოებს გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს ნარჩენების წარმოების და ცირკულარული ეკონომიკის მიმართულებით. ამასთან, სუპერმარკეტში განთავსდა ურნები სპეციალური საინფორმაციო ბანერით, სადაც ხდება ტექსტილის შეგროვება, თანამშრომლობის მემორენდუმები გაფორმდა 6 დიდ სამკერვალო საწარმოსთან. 2020 წლის ბოლოს სამკერვალო საწარმოებთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად გადამუშავებული იქნება 10 ტონა სამკერვალო ნარჩენი.

ნისონი

საწვავი ბრიკეტების წარმოება

კომპანია „ნისონი“ აწარმოებს საწვავ ბრიკეტებს, რომლის დამზადებაში გამოიყენება ხე-ტყის და სოფლის მეურნეობის ნარჩენები, ხოლო გადამუშავება ხდება ყოველგვარი მინარევების გარეშე და მიიღება ეკოლოგიურად სუფთა საწვავი. საწვავი ბრიკეტების გამოყენება ხელს უწყობს ხე-ტყის გამოყენებისა და გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას.

კომპანია მიზნად ისახავს გაფართოებას და წარმოების დაწყებას რაჭასა და სვანეთში, რაც ხელს შეუწყობს არა მარტო წარმოების გაფართოებას და მათი მიწოდების გაზრდას, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და სამუშაო ადგილების შექმნას.

OK INTERNATIONAL POST (OKI POST)

აჩუქე მუყაოს ყუთს ახალი სიცოცხლე

კომპანია Oki Post აქტიურადაა ჩართული მდგრადი მოხმარებისა და წარმოების ხელშეწყობის, ასევე გარემოს დაცვის მიმართულებით. კომპანიამ დაიწყო პროექტი „იმპორტირებული მუყაოს ყუთების გადამუშავება". ამ პროექტით, კომპანია უზრუნველვყოფს მომსახურების გაწევისას არსებული ნარჩენების გადამუშავებას მომხმარებლებთან ერთად. მომხმარებლები ოფისში, ამანათის მიღების შემდგომ სპეციალურ გადამამუშავებელ კონტეინერში ათავსებენ მუყაოს შეფუთვებს, მას შემდეგ რაც ამანათს მიიღებენ.

პროექტი "აჩუქე მუყაოს ყუთს ახალი სიცოცხლე, გადაამუშავე Oki Post-თან ერთად" და კომპანიის გუნდი გეგმავს, რომ პროექტი პარტნიორ ქვეყნებშიც - უკრაინა, მოლდოვა და ყაზახეთი - დანერგოს. აღსანიშნავია, რომ Oki Post-მა უარი თქვა და არ აწარმოებს დამატებით შეფუთვას - ბრენდირებულ პოლიეთილების პარკებს. დამატებით, კომპანიამ პროექტში ჩართო ბლოგერები ამ ინფორმაციის საზოგადოებისთვის გასაცნობად, რათა უფრო მეტმა ადამიანმა იცოდეს ინიციატივის შესახებ და ხელი შეუწყოს ცირკულარული ეკონომიკის 3R-დან ორი მიმართულების (Reduce და Recycle) დანერგვას საქართველოში.

აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია კომპანიისთვის, რამდენადაც ცდილობს გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას, ამასთან, ზრდის თანამშომელთა მოტივაციასა და მომხმარებელთა ნდობას კომპანიის მიმართ.

H&M

REWEAR, REUSE, RECYCLE

„H&M"-ის მიზანია, მდგრადი გზით, მდგარდი მასალითა და მისაღებ ფასად შექმნას ტანსაცმელი. მოდის ინდუსტრია ზეგავლენას ახდენს ბუნებრივ რესურსებზე, ამიტომ, 2030 წლისთვის, H&M-ის მიზანია იყენებდეს მხოლოდ გადამუშავებულ ან მდგრადი წყაროებიდან მიღებულ მასალებს.

საქართველოში ფილიალის გახსნის დღიდანვე, „H&M"-მა დაიწყო გადამუშავების ინიციატივის განხორციელება სამი კატეგორიის მიხედვით: REWEWAR - მდგომარეობის შესაბამისად, მეორეული ტანსაცმლის გაყიდვა; REUSE - ძველი ტანსაცმლისა და ტექსტილის სხვა პროდუქტად გარდაქმნა და გამოყენება; RECYCLE - ტანსაცმლის გადამუშავება. თუმცა Covid-19 პანდემიის გამო ინიციატივა დროებით შეჩერებულია.

„H&M" ადგილობრივ ინიციატივას - „მდგრადი სექტემბერი" ახორციელებს. ინიციატივის ფარგლებში, ხდება თანამშრომლების გადამზადება და ინფორმაციის გაზიარება მდგარდობის საკითხებზე, მათ შორის: როგორ იქმნება და იყიდება ტანსაცმელი, რა გავლენას ახდენს გარემოზე. მომზადდა სახელმძღვანელო მდგარდობის მიმართულებით H&M-ის საქმიანობის და პროგრესის შესახებ.

გარდა ამისა, H&M-მა გამოაცხადა "ცვლილებების გლობალური ჯილდოს" (Global Change Award) მე-6 რაუნდი. მოდის ინდუსტრიაში ჯილდო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ინოვაციების მიმართულებით (უწოდებენ „მოდის ნოპელის პრემიას"), გამარჯვებული 2022 წლის აპრილში გახდება ცნობილი.

BANK OF GEORGIA

RESPONSIBLE CONSUMPTION & PRODUCTION

საქართველოს ბანკი

საქართველოს ბანკი

ნარჩენების შემცირება/ქაღალდის შემცირების პროექტი

სს "საქართველოს ბანკისთვის" მნიშვნელოვანია საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ასპექტების ეფექტურ მართვა, რათა შეამციროს ზემოქმედება გარემოსა და საზოგადოებაზე და ხელი შეუწყოს ქვეყნის მდგრად განვითარებას. ბანკი ცდილობს დანერგოს „შემცირების, ხელახალი გამოყენებისა და რეციკლირების" მიდგომა.

ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა, ქაღალდის მოხმარების შემცირება. გარდა სპეციფიური ტრანზაქციებისა, ხდება ციფრული ჩანაწერების წარმოება და შენახვა. ბანკი ამცირებს ქაღალდის მოხმარებას ციფრული მედიის აქტიურად გამოყენების და უფრო ეფექტური ბეჭდვის გზით.

2020 წელს ახალი პროექტის ფარგლებში ბანკმა დანერგა ქაღალდის მოხმარების კონტროლის ახალი პროცედურა, რომელიც საშუალებას აძლევს კომპანიას, უკეთესად გააკონტროლოს ქაღალდის მოხმარება და შეამციროს ქაღალდის ხარჯი. გარდა ამისა, ყველა სერვისცენტრზე ინდივიდუალურადაა განსაზღვრული ქაღალდის მოხმარების მკაცრი ლიმიტი.

ბოლო წლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, მნიშვნელოვნად (37%-ით) შემცირდა ქაღალდის მოხმარების მაჩვენებელი: 2018 წელი - 63კგ; 2019 წელი - 56კგ; 2020 წელი - 35კგ.

გარდა ამისა, გაიზარდა ქაღალდის გადამუშავების მაჩვენებელი: ბანკის მასშტაბით, ქაღალდი გროვდება, ქუცმაცდება და გადამუშავდება ქაღალდის გადამამუშავებელი სპეციალური კომპანიის მიერ. ასევე საქართველოს ბანკი აფინანსებს პროექტებს-სოციალურ საწარმოებს, რომელთა მიზანიც არის ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და მიღებული მასალისან ეკომეგობრული პროდუქციის წარმოება.

UDABNO

უდაბნო

სარეველასთან ბრძოლის ეკოლოგიურად სუფთა მიდგომა

სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა სარეველებთან ბრძოლაა, საბრძოლველად კი საუკეთესო საშუალებად ჰერბიციდები მოიაზრება. ჰერბიციდები გარდა იმისა, რომ ძალიან ეფექტურად ებრძვის სარეველას, ასევე ბევრი უარყოფითი მხარეც აქვს. დიდი რაოდენობით ჰერბიციდის გამოყენება აისახება, როგორც ეკო-სისტემაზე ასევე, შესაძლოა იმოქმედოს ადამიანის ჯანმრთელობაზეც. ჰერბიციდის ჭარბი ზემოქმედებით იცვლება ნიადაგის ქიმიური სტრუქტურაც.

"უდაბნოს" მიზანია, რომ ჰერბიციდის გამოყენება მინიმუმამდე დაიყვანოს და სარეველებთან ბრძოლისთვის დანერგოს ახალი, ეკოლოგიურად გამართული მიდგომა. ეკოლოგიურ მიდგომაში კომპანია გულისხმობს ჰერბიციდის სხვადასხვა ჯიშის ცხვრებით ჩანაცვლებას. სარეველებთან ბრძოლისთვის კომპანიამ შეიმუშავა გეგმა, რომელიც გულისხმობს ცხვრის ფარის გამოყენებას საკუთარ ბაღებში. 2020 წლის სეზონზე კომპანიამ ბაღებში საცდელად შემოიყვანა გარკვეული რაოდენობის ცხვარი და შეეცადა მისი საშულებით ეკონტროლებინა სარეველა ბალახი, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო და კომპანიამ გადაწყვიტა ამ გამოცდილების გაზიარება და დანერგვა. ერთწლიანმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ ცხვარი არ აზიანებს ხეს და შესაბამისად არც ხის ნაყოფს, ამიტომ „უდაბნოს" სურს ფებრიციდები სრულად ამოიროს ხმარებიდან და ცხვრების დახმარებით აკონტროლოს სარეველას რაოდენობა ბაღებში, მომავალში კი ეს გამოცდილება სხვა კომპანიებს გაუზიაროს.



Phubber

ფაბერი

მდგრადი მოდა / RESALE

„ფაბერი“ წარმოადგენს ცირკულარული მოდის პლატფორმას, სადაც მომხმარებლები ყიდულობენ და ყიდიან ტანსაცმელს. „ფაბერისთვის“ მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს მოდის მდგრად განვითარებას და ცნობიერების ამაღლებას.

მოდის მდგრადობა მოიცავს სრულად სისტემის გაუმჯობესებას და შეცვლას, რომ თანდათან ეს ინდუსტრია ნაკლებ საზიანო გახდეს გარემოსთვის და ნაკლები ბუნებრივი რესურსი გამოიყენოს. მოდის ინდუსტრია მეორე ადგილზეა გარემოს დაბინძურების კუთხით, ჭარბი წარმოება ძალიან აზიანებს გარემოს, შესაბამისად ის, რომ უკვე შექმნილ, წარმოებულ პროდუქტზე მოთხოვნის გავზარდა და ახალ პროდუქტზე მოთხოვნის შემცირება მნიშვნელოვანია. ამდენად, დღეისათვის, გავრცელებული და სწრაფად მზარდი ტრენდია ტანსაცმლისა და პროდუქციის გაყიდვა - resale, რაშიც „ფაბერი“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

მდგრადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, „ფაბერი“ ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას, როგორებიცაა: დისკუსიები, ადგილობრივი მდგრადი და ეკო-მეგობრული ბრენდების მხარდაჭერა, მდგრადი (მრავალჯერადი გამოყენების) ჩანთების წარმოება, შეფუთვისას ნარჩენების შემცირება, საგანმანათლებლო შინაარსი სტატიები და ბლოგები.

CATCHUP GEORGIA

CATCHUP BOX

CatchUp BOX - შექმნილია მდგრადი განვითარების პრინციპების ყოველდღიურობაში ინტეგრირებისათვის („think outside the box” პერსპექტივით). ყუთი ეკო-მეგობრულია და უზრუნველყოფს რესურსების სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივებას. ყუთზე განთავსებული QR კოდის მეშვეობით, მომხმარებელს აქვს წვდომა აპლიკაციაზე, რომელიც მოიცავს ეკო-მეგობრულ, „ჭკვიან“ კალენდარს. კალენდარი მომხმარებელს უგზავნის მარტივ, სასარგებლო მინიშნებებსა და ინფორმაციას ამა თუ ეკოლოგიური პროდუქტის შესახებ.

ყუთში მოთავსებული ეკო-მეგობრული პროდუქტები, აპლიკაციის მეშვეობით გაგზავნილი ეკო-კალენდრის შეტყობინებები, ხელს უწყობს გარემოს დაცვის საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებას და მომხმარებელთა ცხოვრებაში ეკო-მეგობრული პრინციპებისა და ჩვევების შემოტანას.

გარდა მდგრადი ცხოვრების წესის დანერგვისა, კომპანიას ასევე სურს, საქართველოში მწვანე სოციალური საწარმოებისა და მათი პროდუქტების წახალისება. ყუთში მოთავსებული ეკო-მეგობრული პროდუქტებით, ეკო-კალენდრის რჩევებითა და აპლიკაციის მიერ გაგზავნილი შეტყობინებებით, CatchUp Box წარმოადგენს ჯაჭვს, რომელიც მომხმარებლებს დაეხმარება სასარგებლო და ეკო-მეგობრული ჩვევების ცხოვრების წესად ქცევაში. პროდუქტი ცნობიერების გაზრდასა და გარემოსდაცვითი საკითხებისა და მნიშვნელობის ხაზგასმას, ყოველდღიურ ცხოვრებაში მდგრადი განვითარების ყველა შესაძლო გზის დანერგვას უწყობს ხელს.

ღვინუკა

პირველი ბიო-მეღვინეობა რაჭაში

2020 წლის შემოდგომაზე "ღვინუკამ" ევროკავშირთან აიღო ვალდებულება, რომ გახდებოდა პირველი ოფიციალურად სერტიფიცირებული მეღვინეობა რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში. ხორციელდება სერტიფიცირების პროცესი, ამასთან, გარდა ყოვლწლიური ხშირი და მკაცრი მონიტორინგისა, ასევე, ფოთლის, მიწის და მოსავლის ნიმუშები ლაბორაროტიული შემოწმებისთვის გერმანიაში იგზავნება. „კავკასერტი" გარდა ყოველწლიური ხშირი და მკაცრი მონიტორინგისა, ასევე ფოთლის, მიწის და მოსავლის ნიმუშებს ლაბორატორიული შემოწმებისთვის გერმანიაში გზავნის.

კომპანიის მიერ შექმნილი პროდუქციის ეტიკეტზე დატანილი იქნება ბიო-ნიშანი, რაც ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე გაზრდის, როგორც მის რეპუტაციას, ასევე პროდუქციის ხარისხს და კომპანიის კონკურენტუნარიანობას. გარდა ამისა, რამდენადაც ბიო - ვენახი და ბიო-ღვინო რეგიონში პირველი იქნება და მას ექნება ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებული აკრედიტაცია, კომპანია მნიშვნელოვან ცოდნასა და გამოცდილებას შექმნის თანამშრომლებისთვის.

ჩიკატაი

სათამაშოების ჰოსპიტალი

„სათამაშოების ჰოსპიტალი" მიზნად ისახავს რბილი სათამაშოების შეკეთება/განახლებას, რაც ნარჩენების მინიმუმამდე დაყვანას გულისხმობს და ხელს უწყობს მდგრად მოხმარებასა და წარმოებას. პროექტი ნივთებს უხანგრძლივებს სასაცოცხლო ციკლს, რათა არ მოხდეს მათი დროზე ადრე გადაყრა და ახლის ყიდვის საჭიროება (overconsumption).

პროექტს აქვს „როლური თამაშის" კომპონენტი - ბავშვებს საშუალება აქვთ, თავად მიიტანონ სათამაშოები შესაკეთებლად, სადაც მათ მოუყვებიან, თუ რას ნიშნავს ნივთებზე ზრუნვა და რატომ არის ეს მნიშვნელოვანი გარემოსთვის, რაც გაზრდის მათ მოტივაციას და გაუჩენს სურვილს, გაუფრთხილდნენ და იზრუნონ საკუთარ ნივთებზე. ბავშვების ყოველი განმეორები ვიზიტი წახალისებული იქნება პატარა ჯილდოთი, რაც კიდევ უფრო გაზრდის ალბათობას, რომ ნივთებსა და გარემოზე ზრუნვა გადაიქცეს ჩვევად ადრეული ასაკიდანვე. პროექტი მზადდება ბავშვთა ფსიქოლოგის რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომ სწორად მოხდეს ინფორმაციის მიწოდება და ბავშვების დაინტერესება.

პარტნიორობა მდგრადი განვითარებისათვის

„ბიზნესი მდგრადი განვითარებისთვის“

17 პარტნიორობა მდგრადი განვითარებისთვის

ხელოვან ქალთა ციფრული გამოფენის კვირეული *

მეწარმე ქალთა საბჭო საქართველოში

ვირტუალური გამოფენა - ქალები ხელოვნებაში

„მეწარმე ქალთა საბჭომ საქართველოში“ Art Caucasus Foundation-თან თანამშრომლობით განახორციელა „ვირტუალური გამოფენა ქალები ხელოვნებაში“. პროექტის მიზანია, ქალი ხელოვანებისათვის შექმნას გლობალური პლატფორმა და შესაძლებლობები მათი ნამუშევრების ფართო აუდიტორიისათვის წარსადგენად, ასევე ხელი შეუწყოს იდეების გაზიარებას. პროექტმა შექმნა ვირტუალური სივრცე, რომელიც მონაწილეებს შესაძლებლობას უქმნის, გამოაქვეყნონ და გაყიდონ საკუთარი ნამუშევრები. პროექტი მხარს უჭერს პროფესიონალ, მოყვარულ და დამწყებ ქალ მხატვრებს. ვირტუალურ გამოფენაში 180-მა პროფესიონალმა და 100-მა დამწყებმა მხატვარმა მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის, მხატვრები 12 სხვადასხვა ქვეყნიდან.

ამას გარდა, მომზადდა სამი ვიდეო მასტერკლასი ცნობილი ქართველი ქალი მხატვრების მონაწილეობი და გავცრელდა ტელევიზიითა და სოციალური მედიით.

ეისითი (ACT)

ACT STRATEGIST

ACT STRATEGIST კვლევისა და სტრატეგიული კონსულტაციის კომპანია ACT-ის ვებ-საკონსულტაციო პლატფორმაა. ACT-ის გუნდმა პროექტი COVID-19 პანდემიის გამო მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი რთული მდომარეობიდან გამომდინარე მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით შექმნა. პროექტი მიზნად ისახავდა კრიზისის ფონზე, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის სხვადასხვა საჭირო მიმართულებით კონსულტაციის გაწევასა და მხადაჭერას.

პროექტის იდეა ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებაა, ამიტომ პროექტის ირგვლივ გაერთიანდნენ მრავალწლიანი სამუშაო და საკონსულტაციო გამოცდილების მქონე პროფესიონალები. პროექტში ასევე მონაწილეობდნენ დამოუკიდებელი ექსპერტები და სფეროსთან ასოცირებული ბიზნეს კომპანიის წარმომადგენლები. შედეგად, პლატფორმამ არა მარტო მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის, არამედ საერთო მიზნისთვის ბიზნესებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის პრეცედენტი შექმნა.

პროექტის ფარგლებში, მონაწილე მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს აქვთ საშუალება, ონლაინ რეჟიმში პროფესიონალთა გუნდისაგან სხვადასხვა საკითხზე უფასო საკონსულტაციო მომსახურება, ხოლო გრძელვადიანი თანამშრომლობის სურვილის შემთხვევაში, კონსულტაციების შეღავათიანი ტარიფით ისარგებლონ.

კონსულტაციის მიმართულებები კრიზისის დროს კომპანიისთვის აუცილებელ, ყველაზე მნიშვნელოვან ისეთ საკითხებს მოიცავს, როგორებიცაა, ბიზნესის განვითარების სტრატეგია; ზოგადი და კრიზისის მენეჯმენტი; ლიდერობა და ორგანიზაციული განვითარება; იურიდიული და ფინანსური კონსულტაცია; ბიზნეს-ქოუჩინგი; კრიზისული კომუნიკაცია; სტრატეგიული HR და მოტივაცია; სტრატეგიული მარკეტინგი და კომუნიკაციები; IT ინფრასტრუქტურის გამართვა/კიბერუსაფრთხოება.

პროექტის ფარგლებში, ონლაინ პლატფორმით ისარგებლა 71-მა კომპანიამ.

აჭარაბეთი

პლატფორმა ინიციატივა

კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში, „აჭარაბეთმა“ შექმნა სპეციალური პლატფორმა „ინიციატივა“, რომელიც აერთიანებს კომპანიის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებულ ყველა პროექტსა თუ ინიციატივას. პლატფორმა ორიენტირებულია საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის, პასუხისმგებლიანი თამაში, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება, ქართველ სპორტსმენთა და სხვა ბენეფიციართა ხელშეწყობა.

„აჭარაბეთი“ თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან. ერთ-ერთი ასეთი პროექტია „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“, რომლის მიზანიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელშეწყობა, სპორტულ-შემოქმედებით და სოციალურ პროექტებში ჩართულობით.

„ინიციატივასა“ და ფონდ „ფემინას“ თანამშრომლობის ფარგლებში, „აჭარაბეთის“ მხრადაჭერით ფონდის ბენეფიციარი 22 ქალი ჩაერთო პროექტში, რომლებიც გადამზადდნენ 6-თვიანი კურსის ფარგლებში ინგლისურ ენასა და საოფისე პროგრამებში, 4 სტუდენტ ქალს კი აქვს შესაძლებლობა დაასრულოს უმაღლეს სასწავლებელში სწავლა.

2020 წელს, ფონდ „1ანობის“ მხარდაჭერითა და ფონდის ბენეფიციართა დასახმარებლად ჩატარდა კონცერტი-მარათონი. შემოსულ თანხასთან ერთად, კომპანიამ დამატებითი რესურსით მხარი დაუჭირა ფონდის ბენეფიციარებს.

„აჭარაბეთი“ ქართველ სპორტსმენებს და მათ მონაწილეობას მნიშვნელოვან შეჯიბრებსა თუ ტურნირებში, ასევე მხარს უჭერს რამდენიმე სპორტულ ფედერაციასა და გაერთიანებას. ამ დროისათვის, კომპანიას 20-მდე საპატიო ელჩი ჰყავს სპორტის სხვადასხვა სახეობიდან.

ელემენტ კონსტრაქშენი

ცოდნის კაფესთან თანამშრომლობა

„ელემენტ კონსტრაქშენი” ხელს უწყობს სოციალური საწარმოების - ახალი, მაგრამ ეფექტური სექტორის განვითარებას. სამშენებლო კომპანია კახეთში მოქმედი სოციალური საწარმოს „ცოდნის კაფე“ სტრატეგიული პარტნიორია. „ელემენტ კონსტრაქშენი“ აქტიურად უჭერს მხარს როგორც „ცოდნის კაფეს“ მშენებლობას და ისე სხვადასხვა დროს, მის მნიშვნელოვან წამოწყებებს. სამშენებლო კომპანია მიიჩნევს, რომ აუცილებელია რეგიონულ დონეზე არსებობდეს მოქმედი ცენტრი, რომელიც საკუთარი თემის ჩართულობით შეძლებს რეგიონის განვითარების პერსპექტივის შექმნას.

თანამშრომლობის ფარგლებში ფართო საზოგადოება იცნობს „ელემენტ კონსტრაქშენისა“ და „ცოდნის კაფეს“ წარმატებით განხორციელებულ პროექტებს. პროექტების მიზანი ახალგაზრდების განათლების, მათი სამეწარმეო უნარ-ჩვევებისა და სტარტაპების მხარდაჭერაა. ერთობლივმა პროექტებმა მნიშვნელოვანი შედეგებიც მოიტანა, რამდენადაც შეიქმნა კერძო სექტორისა და სოციალური საწარმოს თანამშრომლობის წარმატებული მაგალითი: სტუდენტებმა სოფელ ქიზიყიდან მიიღეს დისტანციური სწავლებისთვის საჭირო მოწყობილობები და წვდომა ინტერნეტზე, დაფინანსდა სტარტაპ იდეები 13 მუნიციპალიტეტიდან, 160-ზე მეტმა ახალგაზრდამ გაიარა მეწარმეობის უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამა, გაიზარდა სამოქალაქო ინიციატივები კახეთში და ამაღლდა ცნობიერება სოციალური საწარმოების მნიშვნელობის შესახებ.

თიბისი ბანკი

გრეის ჰოპერის ჯილდო

„თიბისი“ ბანკისათვის ტექნოლოგიების სფეროში ქალთა მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. „თიბისიმ“ გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP), „მაშავის ცენტრთან“ და გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) თანამშრომლობით დააფუძნა „გრეის ჰოპერის ჯილდო“.

„გრეის ფოპერის ჯილდოს“ მიზანია, გამოავლინოს და აღიაროს და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში ჩართულ ქალები და ის ორგანიზაციები თუ პროგრამები, რომლებიც ICT სფეროში ქალთა გაძლიერებაზე არიან ორიენტირებულნი.

ჯილდო მოიცავს 6 კატეგორიას. გარდა აღიარებისა, თითოეულ კატეგორიაში გამარჯვებულები, მონაწილეობას მიიღებენ სასწავლო ვიზიტში ისრაელში(რომელიც ხორციელდება „მაშავის ცენტრსა“ და საქართველოში ისრაელის საელჩოსთან თანამშრომლობით). ამას გარდა, „თიბისიმ“ და გაეროს ქალთა ორგანიზაციამ რამდენიმე კატეგორიისთვის შესაძლებლობების განვითარების პროგრამებში მონაწილეობის და პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით, სპეციალური პროზები დააწესეს.

თიბისი ბანკი

SOCIAL IMPACT AWARD

Impact Hub Tbilisi-მა „თიბისი“ ბანკისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით დააარსა Social Impact Award - საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ახალგაზრდებში სოციალური მეწარმეობის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. პროგრამა მოიცავს პროცესს იდეიდან ბიზნეს გეგმის შექმნამდე.

პროგრამა საქართველოში 2017 წლიდან ხორციელდება. ამ პერიოდში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 1000-ზე მეტმა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, შეირჩა 14 გამარჯვებული გუნდი.

2021 წელს, Social Impact Award შედგება რამდენიმე ეტაპისაგან და მოიცავს სამუშაო შეხვედრებს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. მეორე ეტაპზე შერჩეული გუნდები ორი თვის განმავლობაში მენტორებთან იმუშავებენ ბიზნეს გეგმის შედგენაზე და წარუდგენენ ჟიურის. მესამე ეტაპზე კი ჟიური გამოავლენს გამარჯვებულ გუნდებს. 2021 წელს პროგრამა ხორციელდება „თიბისი“ ბანკის პროგრამის - „სტარტაპერი“ ფარგლებში, რომელიც სტარტაპებს სხვადასხვა სახის მხარდაჭერას სთავაზობს, მათ შორის, ფინანსური და საგანმანათლებლო მიმართულებებით.

EFES GEORGIA

ეფეს საქართველო

პარტნიორული პროექტები

„ეფეს საქართველო“ პარტნიორულ პროექტებს სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებს. 2011 წელს კომპანიამ დააფუძნა „ფონდი ნატახტარი“ რომლის მიზანიც არის მზრუნველობამოკლებული მოზარდების გაძლიერება და მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. დღემდე ფონდი 600-ზე მეტ ბენეფიციარს დაეხმარა, მათგან 300-ზე მეტი დასაქმდა, ხოლო 270-ზე მეტმა ახალგაზრდამ პროფესიული განათლება მიიღო.

„ეფეს საქართველოსათვის“ მნიშვნელოვანია ხელოვანებისა და კულტურის სფეროს ორგანიზაციებისა და პლატფორმების მხარდაჭერა. ხელოვნების სფეროსი მხარდასაჭერად, ბრენდმა „ქარვამ“ სხავდასხვა პროექტი განახორციელა., მათ შორის, „ქარვის“ მუსიკალური კონკურსი, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა. „ქარვა“ ეხმარება დამწყებ მუსიკოსებს პოპულარობის მოპოვებასა და პირველი მუსიკალური კლიპის გამოშვებაში. გამარჯვებულმა დამწყებმა მუსიკოსებმა, საჩუქრად მუსიკალური ვიდეო კლიპის ჩაწერის შესაძლებლობა მიიღეს, მისი პოპულარიზაცია კომპანიის სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების მოხდა.

ამას გარდა, კამპანია „განიქარვე შინ“-ის ფარგლებში მიმდინარეობდა „ლენო რეკორდსის“ ლაივ-კონცერტები დამწყები თუ უკვე შემდგარი არტისტების მონაწილეობით და გადაიცემოდა. „ქარვა“ მხარს უჭერს სხვადასხვა მუსიკალურ პლატფორმას.

პანდემიის პერიოდში, „ეფეს საქართველომ“ პარტნიორებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების შედეგად გადაწყვიტა სასურსათო ვაუჩერებით დახმარებოდა უმუშევრად დარჩენილ 500-მდე ბარმენს. პროექტი პარტნიორ ორგანიზაცია „საქართველოს ბარმენთა ასოციაციასთან“ თანამშრომლობით განხორციელდა.

BUY SELL GARAGE

თრეველ გაიდი

მდგრადი მოდის პლატფორმა გარაჟი

„გარაჟი“ სოციალურ ქსელში არსებული ჯგუფია, რომელიც მდგრადი მოდის პლატფორმას წარმოადგენს. ჯგუფშია ვირტუალური მაღაზია, სადაც მომხმარებელებს შეუძლიათ გაყიდონ და შეიძინონ, როგორც ახალი, ისე მეორეული ტანსაცმელი, შესძინონ ტანსაცმელს „მეორე“ სიცოცხლე „გარაჟულ“ ფასად.

ყოველდღიურად, ჯგუფს 30 000-მდე აქტიური მომხმარებელი ჰყავს, 1000-მდე ქალი აწარმოებს მცირე ბიზნესს. „გარაჟი“ ხელს უწყობს მდგრადი მოდის განვითარებას - ამგვარად შეძენილი ტანსაცმელი 40%-70%-ით უფრო იაფია და ასევე, განსხვავებულ სტილს ქმნის. ჯგუფს მართავს კომპანიის გუნდი და მომხმარებლებს სთავაზობენ სპეციალურ შეთავაზებებს, რომ უფრო სწრაფად და მარტივად გაყიდონ პროდუქცია.

SERVIER-ის წარმომადგენლობა საქართველოში

გაიზომე წნევა - ამას შენთვის გეუბნები

ფრანგული ფარმაცევტული კომპანიის „სერვიესა“ და „ჰიპერტენზიის საერთაშორისო ასოციაციის“ ერთობლივ პროექტს „გაიზომე წნევა-ამას შენთვის გეუბნები“, საქართველო მესამე წელია უერთდება. კამპანია განსაკუთრებით აქტუალური COVID-19 პანდემიის პირობებში გახდა.

პროექტი ფოკუსირებულია გაზომვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობაზე, ინფორმირებულობის დონის გაზრდაზე, სახლის პირობებში წნევის გაზომვის მნიშვნელობისათვის ხაზგასმაზე, დაავადების დროულ გამოვლენასა და მკურნალობასთან დაკავშირებით ექიმის მითითებების შესრულებაზე. პროექტის ფარგლებში, ექიმების ჩართულობით, არაერთი საინფორმაციო რგოლი ჩაიწერა და გავრცელდა სხვადასხვა საინფორმაციო არხით (ტელევიზია, რადიო, სოციალური ქსელები).

კამპანია ემსახურება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (ჰიპერტენზიის) პრევენციას, როგორც საქართველოში, ასევე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამდენად, გარდა ცნობიერების ამაღლების მიმართულებისა, კამპანიის ფარგლებში, კარდიოლოგიურ ასოციაციების და „სერვიეს“ პარტნიორობით მოსახლეობისთვის ჩატარდა მასშტაბური სკრინინგი. სხვადასხვა კლინიკის ბაზაზე, უფასო კონსულტაცია და კვლევები ჩაუტარდა 3000-მდე პაციენტს.

OK INTERNATIONAL POST (OKI POST)

აჩუქე მუყაოს ყუთს ახალი სიცოცხლე

კომპანია Oki Post აქტიურადაა ჩართული მდგრადი მოხმარებისა და წარმოების ხელშწყობის, ასევე გარემოს დაცვის მიმართულებით. კომპანიამ დაიწყო პროექტი „იმპორტირებული მუყაოს ყუთების გადამუშავება”. ამ პროექტით, კომპანია უზრუნველვყოფს მომსახურების გაწევისას არსებული ნარჩენების გადამუშავებას მომხმარებლებთან ერთად. მომხმარებლები ოფისში, ამანათის მიღების შემდგომ სპეციალურ გადამამუშავებელ კონტეინერში ათავსებენ მუყაოს შეფუთვებს, მას შემდეგ რაც ამანათს მიიღებენ.

პროექტი “აჩუქე მუყაოს ყუთს ახალი სიცოცხლე, გადაამუშავე Oki Post-თან ერთად” და კომპანიის გუნდი გეგმავს, რომ პროექტი პარტნიორ ქვეყნებშიც - უკრაინა, მოლდოვა და ყაზახეთი - დანერგოს. აღსანიშნავია, რომ Oki Post-მა უარი თქვა და არ აწამროებს დამატებით შეფუთვას - ბრენდირებულ პოლიეთილების პარკებს. დამატებით, კომპანიამ პროექტში ჩართო ბლოგერები ამ ინფორმაციის საზოგადოებისთვის გასაცნობად, რათა უფრო მეტმა ადამიანმა იცოდეს ინიციატივის შესახებ და ხელი შეუწყოს ცირკულარული ეკონომიკის 3R-დან ორი მიმართულების (Reduce და Recycle) დანერგვას საქართველოში.

აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია კომპანიისთვის, რამდენადაც ცდილობს გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას, ამასთან, ზრდის თანამშომელთა მოტივაციასა და მომხმარებელთა ნდობას კომპანიის მიმართ.

საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის (GLIP)

ქართველი ადვოკატები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში

ორგანიზაციამ „საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის“ (GLIP) და შპს “ლეგალ სოლუშენს თიმმა” (LST) 2019 წლის სექტემბერში ერთობლივად განახორციელეს საერთაშორისო პროექტი “ქართველი ადვოკატები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოში (ECJ)”.

პროექტი მოიცავდა 5-დღიან სავალდებულო სასწავლო სემინარს ადვოკატებისთვის სამართლის შემდეგ სფეროებში: სასამართლოს კომპეტენციები კონკურენციის სამართალი; ევროკავშირის მომხმარებელთა უფლებების შესახებ სამართალი; ევროკავშირის შრომის სამართალი.

პროექტში მონაწილეობის შედეგად, საქართველოს ადვოკატებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შრომის კოდექსის ცვლილებების მომზადებისა და იმპლემენტაციის პროცესში.

აღნიშნულმა ცვლილებებმა ახლებურად დაარეგულირა შრომის სამართლის სფერო, უფრო ფართო კომპეტენცია მიანიჭა შრომის ინსპექციის სამსახურს და არაერთი სასარგებლო რეგულაცია შექმნა აღნიშნულ სფეროში არსებული პრობლემების ახლებურად მოწესრიგებისთვის.

საქართველოს ბანკი

პროექტი სუპერგმირთან

2020 წლის გაზაფხულზე „საქართველოს ბანკი” გახდა საქველმოქმედო პლატფორმა supergmiri.ge-ს მთავარი პარტნიორი. პარტნიორობა გულისხმობს, როგორც პლატფორმის ფინანსურ მხარდაჭერას, ასევე პროექტის პოპულარიზაციას.

„სუპერგმირი“ არის საქველმოქმედო პლატფორმა, რომელიც აკავშირებს დონორებსა და ბენეფიციარებს. საქართველოს მასშტაბით,ხდება სოციალურად დაუცველი ბავშვების შერჩევა და შესაბამისი ინფორმაციის განთავსება „სუპერგმირის“ პლატფორმაზე. „სუპერგმირი“ თავისი სურვილით ირჩევს ბავშვს და იწყებს მის ყოველთვიურ დახმარებას. „სუპერგმირის“ ყოველთვიური დონაცია 100% -ით ხმარდება ბენეფიციარს.

„სუპერგმირის“ დონაცია არ არის ერთჯერადი, არამედ გრძელდება ყოველთვიურად. ბენეფიციარი (ბავშვი) ყოველთვიურად იღებს გზავნილს, სადაც მოთავსებულია მისი ასაკის, სურვილების და მიზნების შესაბამისი აუცილებელი პროდუქტები და მომსახურების ვაუჩერები. გზავნილის შიგთავსს პერსონიზებულად ადგენს „სუპერგმირის“ პლატფორმის გუნდი. ფულადი დახმარების გარდა, „სუპერგმირს“ შეუძლია გახდეს ბავშვის მეგობარი, პერიოდულად გაატაროს მასთან დრო, ეთამაშოს და ერთად შეასრულონ საინტერესო მისიები.

პლატფორმის არსებობიდან დღემდე (14 თვე) პროექტის ფარგლებში 263 ბავშვს ჰყავს „სუპერგმირი“, სულ პროექტის ფარგლებში დღემდე შეგროვდა 315,522 ლარი ბენეფიციარების დასახმარებლად.

საქართველოს ქალ აუდიტორთა და იურისტთა ასოციაცია

პროექტი 100 მეწარმე ქალის მხარდასაჭერად

„საქართველოს ქალ აუდიტორთა და იურისტთა ასოციაცია“, რომელიც მთელი საქართველოს მასშტაბით 85 ქალს აერთიანებს, მეწარმე ქალთა მხარდასაჭერად სხვადასხვა პროექტს ახორციელებს.

ასოციაციამ, ორ პარტნიორ კომპანიასთან - “საქართველოს აუდიტორული კომპანია (GAC)” და „ტრანსპორტის მართვის ასაერთაშორისო კომპანია (ITMC)“, განახორციელა პროექტი „100 მეწარმე ქალის მხარდასაჭერად“. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული სერვისები მოიცავდა: მცირე და საშუალო ქალი მეწარმეებისათვის ყოვლეწლიური საშემოსავლო დეკლარაციის მომზადებას, იურიდიულ კონსულტაციას და IT მომსახურებას. პროექტში მონაწილეობა მიიღო 80-მა მეწარმე ქალმა.

ტერმინალი

საერთო სამუშაო სივრცეები

საქართველოში პირველად საერთო სამუშაო სივრცეების მიმართულება “ტერმინალმა“ შექმნა. კომპანია ამ მიმართულებით სწრაფად მზარდია - 4 წელში გახსნა „ტერმინალის“ 5 ფილიალი. „ტერმინალი“ მოიცავს სრულად აღჭურვილ 800 ინდივიდუალურ სამუშაო სივრცეს, 52 ოფისით, ინტერნეტით, 24/7 ხელმისაწვდომობით, 28 შეხვედრებისა და საკონფერენციო ოთახებით. მყუდრო სამუშაო გარემოს ქმნის სამუშაო სივრცეების დიზაინი.

„ტერმინალის“ ხედვაა მეტი საერთო სივრცის - ბიზნესის, სტარტაპებისა და კერძო პირებისათვის სამუშაო პლატფორმის - შექმნა, რაც მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობას ქმნის. გარდა ამისა, კომპანიას სჯერა, რომ „ტერმინალი“ საზოგადოებისათვის სოციალურ როლსაც ასრულებს - ერთიანებს სხვადასხვა ადამიანს, ქმნის გამოცდილების, ცოდნისა და მოტივაციის გაზიარების შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ „ტერმინალი“ ქართული ბრენდია, ის ბაზარზე ფუნქციონირებს ევროპული სტანდატებით და კონკურენციას უწევს მსოფლიოს უდიდეს ბრენდებს ამ მიმართულებით. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ 2020 წელს ტერმინალი გახდა „EuroAsian Startup Awards” გამარჯვებული საუკეთესო საერთო სამუშაო სივრცეების (co-working სივრცეების) კატეგორიაში.

ფუდმარტი

ფუდმარტი

ფრენჩაიზის მოდელი

„ფუდმარტი“ ადგილობრივი მეწარმეებისათვის ქმნის შესაძლებლობას, ფრენჩაიზის მოდელით გამოიყენონ ორი ბრენდი - „იოლი“ და „სპარი“. ამ მოდელით, „ფუდმარტი“ უბნის ყველა იმ მაღაზიას, რომელსაც ლიკვიდურობის პრობლემა აქვს და გაკოტრების პირასაა, სთავაზობს მოქნილ პირობებს მომწოდებლებთან.

„ფუდმარტის“ პროექტი მასშტაბურია და მასში ჩართული პარტნიორებს „ფურდმარტი“ უქმნის კარგ პირობებსა და სხვადასხა სახის მხარდამჭერ სერვისებს. აღნიშნული პროექტი აძლიერებს მცირე ბიზნესებს, სათანდო კომერციული პირობებით მათ გადარჩენისა და ბიზნესის სასიცოცლო ციკლის გახანგრძლივების შესაძლებლობას უქმნის.